# შირაქი
SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№11 (9.773)

25 მარტი–1 აპრილი 2017 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


ელექტროენერგია, პრობლემები, შესაძლებლობა და ეკონომიკა

გვ.2



## აგრობიომრავალფეროვნების გადარჩენა — ხელისუფლების თუ ფერმერის ხელით?!




გვ.3

ირაკლი ქადაგიშვილი: „დღევანდელ შეხვედრაზე დავინახეთ, რომ სახელმწიფოს ჩართულობა ძალიან დიდია. აქტიურობდნენ ადგილობრივი ფერმერებიც. აუცილებელია, ქარსაფარი ზოლების აღდგენა და ნარჩენების დროულად გამოტანა, რათა არ წარმოიქმნას ხანძრის კერები. საინტერესო ინიციატივაა მოსავლის ნარჩენების გადამუშავება და მათი საწვავად გამოყენება, ისევ ჩვენი კეთილდღეობისთვის.“



გვ.5–8

## ჟურნალისტი – ინფორმაციის მომპოვებელი თუ თანამედროვეობის მემატიანე?!

## ერთი დღე არბოშიკში

გვ.2



## „ჩემს კეთილ დამოკიდებულებას იმსახურებს ადამიანი, რომლის სულშიც მუდამ გაზაფხულია!“



გვ.4

## სეტყვის სეზონის დაწყებამდე დელტა კახეთში საინფორმაციო კამპანიას მართავს

გვ.2

## დედოფლისწყარო წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღეს შეუერთდა



გვ. 2


## „კახეთის საათი“

„ობიექტივზე“

ახალი დროით

კვირა 12:30


C M Y K

## ერთი დღე არბოშიკში



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის ინიციატივა -,,ერთი დღე სოფელში“ გრძელდება. 23 მარტს გამგებელი სოფელ არბოშიკის მაცხოვრებლებს შეხვდა. მან ადგილობრივი მოქალაქეებისგან პირადად მოისმინა ის პრობლემები და საკითხები, რაც მათ სოფელში აწუხებთ. ნიკოლოზ ჯანიაშვილი არბოშიკელებს სოციალური, ინფრასტრუქტურული და სხვა საკითხების უახლოეს პერიოდში მოგვარებას დაპირდა.

შეგახსენებთ, რომ გამგებლის ეს ინიციატივა გულისხმობს გამგეობის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად კვირაში ერთი დღის ხალხთან გატარებას და მათგან პირადად მოსმენას ყველა იმ საჭირბოროტო საკითხებისა, რაც აწუხებთ.

ამ დღესვე გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი სოფელ არბოშიკის ბაგა-ბაღს ესტუმრა, თანამშრომლებს გაესაუბრა, ბავშვები მოინახულა და შენობა დაათვალიერა.

## დედოფლისწყარო წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღეს შეუერთდა

ყოველ წელს, გაზაფხულის დადგომასთან ერთად 22 მარტს მთელი მსოფლიო „მსოფლიო წყლის დღეს“ ზეიმობს.

წყლის საერთაშორიო დღის აღნიშვნა თავისდროზე 1993 წელს გარემოსა და განვითარების კონფერენციაზე (UNCED) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ იყო რეკომენდირებული. ამავე წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 22 მარტი წყლის საერთაშორისო დღედ ოფიციალურად გამოცხადდა.

ამ თარიღთან დაკავშირებით, გუშინ ქალაქ დედოფლისწყაროსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული ყველა წყაროს მიმდებარე ტერიტორია დასუფთავდა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა მოგიწოდებთ, გაუფრთხილდეთ წყლის რესურსებს და რაციონალურად გამოიყენოთ იგი.

წყალი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დედამიწაზე ეკოსისტემების არსებობისთვის. გაეროს ექსპერტების მონაცემებით, დედამიწის მოსახლეობის ერთ მეექვსედს სუფთა სასმელი წყალი არ მიეწოდება.

## სეტყვის სეზონის დაწყებამდე დელტა კახეთში საინფორმაციო კამპანიას მართავს

სეტყვის სეზონის დაწყებამდე, სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „დელტა“ კახეთის რეგიონში საინფორმაციო კამპანიას ახორციელებს. კამპანიის მიზანი ადგილობრივი მოსახლეობის სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მუშაობის შესახებ ინფორმირებაა. მათ საინფორმაციო ბუკლეტები გადაეცემათ, სადაც სეტყვასაწინააღმდეგო სარაკეტო სისტემასთან დაკავშირებული უსაფრთხოების ზომებია გაწერილი.

საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში იმართება შეხვედრები ადგილობრივ თვითმმართველობებთან, გამგებლის წარმომადგენლებთან ადმინისტრაციულ ერთეულებში. ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ თელავში არსებულ და მოქმედ ადმინისტრაციულ შენობებზე და შენობის შიგნით, თვალსაჩინო ადგილას, იკვრება და ვრცელდება საინფორმაციო შინაარსის საკომუნიკაციო მასალები - პლაკატები და ფლაერები.

საინფორმაციო მასალები ვრცელდება საჯარო თავშეყრის ადგილებში და საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე. საინფორმაციო მასალები ასევე განთავსდება კახეთის რეგიონში არსებულ სკოლებში.

კამპანიაში აქტიურად არის ჩართული სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას მიაწვდის ფლაერებს კომუნალური გადახდის ქვითრებთან ერთად. მსგავსი შინაარსის პლაკატები განთავსდება სს ,,კახეთის ენერგოდისტრიბუციის" 8 სერვის-ცენტრში.

„დელტა“-ს ინფორმაციით, კახეთში არსებული 83 სეტყვისსაწინააღმდეგო სარაკეტო დანადგარი 1 აპრილიდან მზადყოფნაში იქნება.

# ელექტროენერგია, პრობლემები, შესაძლებლობა და ეკონომიკა







აბ ბოლო დროს ქალაქში ხშირად ქრება შუქი ხან ერთ უბანში, ხან-მეორეში. მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამს. ჩვენ ამ საკითხზე სასუბროდნ „კახეთის ენერგო-დისტრიბუციის“ დედოფლისწყაროს ელექტროქსელების უფროსს ივანე გიგოლაშვილს შევხვდით და ვესაუბრეთ. გარკვა, რომ გამორთვები იმიტომ ხდება, რომ მიმდინარეობს ამორტიზირებული შიშველი მავთულების იზოლირებული (სიპის) კაბელებით შეცვლა, რომელიც, შიშველი მავთულებისაგან განსხვავებით, უსაფრთხოა და ქარის და უამინდობის დროს დაცულია მოკლე ჩართვისაგან, რაც ავტომატების და ჩამრთველების გათიშვების და სხვა ავარიების მიზეზი ხშირად ხდებოდა ხოლმე. ამჯერად ეს სამუშაოები №4 სატრანსპორტო პუნქტებში შემავალ მეტალურგების, ალადაშვილის, პრესის, დოდაშვილის, ევდოშვილის და ჰერეთის (საჯარო რეესტრამდე) ქუჩებზე დამთავრდა. აქ ამორტიზებული ბოძებიც რკიბა-ბეტონის ბოძებით ჩანაცვლდა. ანალოგიური სამუშაოები ქალაქის სხვა უბნებზეც განხორციელდება, მაგრამ შერჩევით მოხდება, რადგან ეს ყველაფერი არცთუ იაფი სიამოვნებაა. შემცირებული.

- როცა ქალაქში შუქი ქრება და სოფელი სამრეკლო გაჩახჩახებულია, ხალხი მირეკავს და ბრაზობს, ქალაქში შუქს აქრობთ და სოფელს აწვდითო. მინდა მათ გასაგონად ვთქვა, რომ უკვე ორი წელია, რაც სამრეკლოში სრული რეაბილიტაცია ჩატარდა და გაყვანილობა სრულადაა კაბელირებული. ამიტომ იქ ავარიების რისკი მინიმალურამდეა შემცირებული. როცა ქალაქშიც სრული რეაბილიტაციის სამუშაოები დამთვრდა, აქაც ნაკლები პრობლემა გვექნება.

**- კიდევ რომელი ობიექტებია გამოცვლილი?**

- კაბელირებულია სოფელი ზემო ქედიც. იქ ასევე დამონტაჟდა ახალი ჩამრთველ-გამორთვები. მოსახლეობა ძალიან კმაყოფილია. ჩემი ამ თანმდებობაზე მოსვლის დღიდან მინდოდა, გამარჯვების ქვესადგური ისე გამეკეტებინა, რომ ერთ ფიდერზე არ ყოფილიყო დამოკიდებული ამ ზონის ექვსივე სოფელი, რადგან ერთ სოფელში მომხდარი ავარიის გამო ყველა ერთდროულად ითიშებოდა. წელს იქ ახალი ქვესადგური ავაშენეთ, კიდევ ერთი ფიდერიც დავამატეთ, სასოფლო განშტოებებზე და თვით სოფლებშიც დამონტაჟდა საკმაოდ ძვირადღირებული საჰაერო გამთიშველები, რაც უზრუნველყოფს, რომ ავარიის ნშემთხვევაში გაითიშება მხოლოდ ის მონაკვეთი უბნისა, სადაც დაზიანებაა. ეს დიდი პროგრესია მას შემდეგ, როცა ერთი უბნის ავარიის გამო ექვსივე სოფელი იიშებოდა, რასაც მოსახლეობის სამართლიანი უკმაყოფილება მოსდევდა. გასულ წელს გამარჯვების ქვესადგურიდან ოზაანამდე და თავწყარომდე რკინის სადენები სტანდარტლი ალუმინის სადენით შეიცვალა. ესეც გააუმჯობესებს ელექტროენერგიის მიწოდების ხარისხს. ამ სოფლების მცხოვრებლები კმაყოფილნი რომ იყვნენ, ერთი საფეხურიც გასავლელია: - ძალიან ამორტიზებულია სოფლის შიდა ქსელი. შიდა ქსელების პრობლემა გვაქვს მირზაანშიც. ჩვენ ყველანაირად ვეცდებით, რომ მოვიძიოთ სახრები და წლის ბოლომდე ამ სოფლების კაბელიზაცია მოვახერხოთ. სერიოზული სამუშაოები ჩატარდა სოფელ ფიროსმანში. აქ 9 კილომეტრიანი ახალი ხაზი აშენდა ალაზნის პირამდე, სადაც სარწყავი სისტემის სატუმბი დანადგარები მონტაჟდება. აქვე მოხდა სოფელში მდებარე ქვესადგურის რეაბილიტაცია და მესაზღვრეებისათვის აშენდა ორკილომეტრიანი მაღალი ძაბვის გაყვანილობა და დამონტაჟდა სატრანსფორმატორო პუნქტი. მესაზღვრეებისათვის ელექტროენერგიის მიწოდების მიზნით სამუშაოები ჩატარდა საბათლოს ქვესადგურიდანაც. ეს ქვესადგური სოფლიდან სოფლის ცენტრამდე მისაყვანი ხაზიც. ამჟამად სრულად არის გამოცვლილი ხის ბოძები რკინა-ბეტონის ბოძებით და უახლეს ხანში დაიწყება თვით ხაზის გადაკრეფაც.

**- კიდევ რა ხდება ქალაქში?**

ვაჩნაძის ქუჩის მცხოვრებლები სისტემატურად აპროტესტებდნენ და სამართლიანადაც, რადგან აქ გამავალი მაღალი ძაბვის ხის ბოძები იდგა მათ ეზოებში და იყო ძალიან ამორტიზებული, რაც საშიში იყო მათი უსაფრთხოებისათვის, დღეის მდგომარეობით ყველა ბოძი გარეთაა გამოტანილი და ჩანაცვლებული რკინა-ბეტონის მილით. მალე დაიწყება ახალი მავთულის ძაბვა და ძვლის მონტაჟდი. ქალაქის ქვესადგურიდან ნიკორციხის აბურღილამდე აშენდა ახალი ხაზი და დამონტაჟდა

ათკილოვატიანი ტრანსფორმატორი, რაც უზრუნველყოფს ჭაბურღილიდან წყლის ცენტრალურ ავზში გადააქვს შეუფერხებლად. როგორც ხედავთ, ჩვენ ინტენსიურად ვმუშაობთ მიუხედავად იმისა, რომ ,,კახეთის დისტრიბუცია'' გაკოტრბის რეჟიმშია. ჩვენ ვაკეთებთ მაქსიმუმს, რის შესაძლებლობასაც ეკონომიკა გვაძლევს, რადგან ეს სამუშაოები საკმაოდ ძვირი ჯდება. მაგალითისთვის ერთს გეტყვით მხოლოდ: გამარჯვების ქვესადგურიდან ზემო მაჩხაანამდე ხაზის აშენება 200 ლარი დაჯდა.

აქვე არ შემიძლია არ შევეხო გარე განათლების საკითხსაც, სადაც უზარმაზარი სამუშაოები ჩატარდა. ქალაქშიც და სოფებშიც სულ რამოდენიმე ქუჩა დარჩა გასანათებელი და წლის ბოლომდე ეს სამუშაოებიც ჩატარდება. აუცილებლად გარე განათების სამუშაოები მუნიციპალიტეტის ბიუჟეტიდან ხდება და მადლობა მინდა ვუთხრა რაიონის ხელმძღვანელობას, რომლისთვისაც ეს საკითხი პრიორიტეტულია. ვფიქრობ, მოსახლეობა ამ კუთხით კმაყოფილია.

- ეს კმაყოფილი მოსახლეობა როგორი გადამხდელია? მახსოვს, ადრე ბევრი მალალი დავალიანების მქონე ოჯახი იყო და წლობით გადასდევდათ გადაუხდელი თანხები.

- მოსახლეობის ძირითად ნაწილს ძალიან კეთილსინდისიერი დამოკიდებულება აქვს ამ საკითხის მიმართ მრიცხველების ეზოს გარეთ გამოტანის შემდეგ რეჟიმმაც ჩამოაყალიბა, რომ გადაუხდელობის შემთხვევაში ხდება ხაზის გათიშვა. ელექტროენერგიის გარეშე დარჩენა კი არავის სურს. მოსახლეობასთან ჩვენ ერთი სათხოვარი გვაქვს: 6 საათის შემდეგ იანვრის და სხვა საჭიროების შემთხვევაში ყოველგვარი ინფორმაციის მისაღებად მორიგესთან დარეკონ ტელეფონზე 570 10 14 20, რადგან არც მე და არც სხვა თანამშრომელი 6 საათის შემდეგ არავითარი ინფორმაცია არ გვაქვს, ჩვენც მორიგეს ვუკავშირდებით და ვარკვევთ კონკრეტულ სიტუაციას, რაც დროში წელავს დახმარების აღმოჩენის საშუალებას. მინდა, ეს გაითვალისწინოს მოსახლეობამ.

აქვე მადლობა მინდა ვუთხრა მოსახლეობას მოთმინებისთვის, რომ მთელი მუნუციპალიტეტის ტერიტორიაზე დიდი ნაწილი ისევ ამორტიზებულია და მომსახურების ხარისხიც, შესაბამისად, დაბალია. ის, რაც გაკეთდა, უხეშად რომ ვთქვათ, გასაკეთებელი საქმის მხოლოდ 15-20 %-ია. კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. მაგალითად, ზემო ქედის ქვესადგურიდან ქვემო ქედის ბოლომდე ელექტროგადამცემი ხაზი ამორტიზებულია და გვინდა.შევცცვალოთ ახალი ხაზით. სხვაც მრავალია საკეთებელი. მაგრამ, როგორც ზემოთაც გვითხარით, გაკოტრების რეჟიმში მყოფი ორგანიზაციის კვალობაზე, ჩვენ ვაკეთებთ მაქსიმუმს, რის გაკეთებასაც ეკონომიკა გვაძლევს.

- გისურვებთ წარმატებებს!

- გმადლობთ

ნაირა გორაშვილი

# აგრობიომრავალფეროვნების გადარჩენა — ხელისუფლების თუ ფერმერის ხელით?!

***24 მარტს გარემოს დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გიორგი ჩხეიძე დედოფლისწყაროს ესტუმრნენ. ისინი თავდაპირველად დედოფლისწყაროში, შირაქის ველზე გავიდნენ და ადგილზე მოინახულეს ქარსაფარი ზოლების აღდგენის პროგრამა. მათ საცდელი ქარსაფარი ზოლი დაათვალიერეს და სხვადასხვა ჯიშების გამოცდის შესახებ ისაუბრეს.***

შეხვედრა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედოფლისწყაროს კვლევითი ცენტრის საკონფერენციო დარბაზში გაგრძელდა. მასში ასევე მონაწილეობდნენ, პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გელა სამხარაული, ამავე კომიტეტის აპარატის უფროსი ივერი ახალბედაშვილი, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზაზა ხუციშვილი, სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შიოლაშვილი; REC Caucasus-ის დირექტორი სოფიკო ახობაძე, GIZ-ის საველე კოორდინატორი ამირან კოდიაშვილი, კახეთის გუბერნატორი ირაკლი ქადაგიშვილი, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლები და ადგილობრივი ფერმერები.

სამუშაო შეხვედრა გაიმართა თემაზე: „ქარსაფარ ზოლებთან დაკავშირებით პოლიტიკის განსაზღვრა და საერთო ხედვის ჩამოყალიბება“. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, პროგრამისთვის უკვე დაქირავებულია მაღალკვალიფიციური ორი ექსპერტი, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში ადგილობრივ ფერმერებთან იმუშავებს. შემდეგ კი ექსპერტები დადებენ დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც ამ სფეროს რეგულირება მოხდება.

პროექტი „მიწის დეგრადაციისა და სიღარიბის შემცირების მიზნით სასოფლო ტერიტორიებზე ლანდშაფტებისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვა“ ოთხ მუნიციპალიტეტში ხორციელდება. ესენია: სიღნაღი, დედოფლისწყარო, ახმეტა და გარდაბანი. სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროების, ასევე GIZ-ისა და REC Caucasus-ის ერთობლივი ინიციატივით „ქარსაფარი ზოლების მართვის ჩარჩო კონცეფცია“ მუშავდება, რომლის დეტალებიც ამავე შეხვედრაზე განიხილეს და დისკუსიამ სამ საათზე მეტ ხანს გასტანა.

შეხვედრის დასაწყისში გარემოს დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა აღნიშნა, მზადაა პირობა დადოს, რომ ამოქმედდება ნამჯის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო, რომელიც მყარ საშემე მასალას აწარმოებს, თუკი ადგილობრივები უზრუნველყოფენ ნარჩენების ჩუქებას და ხელისუფლებას ექნება ადგილობრივების მხარდაჭერა.

**„მზად ვარ ამავე შეხვედრაზე დავდო პირობა, რომ ხელს შევუწყობ ასეთი ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს თუნდაც შირაქის ტერიტორიაზე აშენებას. შემდეგ აქ წარმოებული საწვავით მოვამარაგებთ სკოლებს და ამით კიდევ დამატებით სარგებელს მივიღებთ. გარდა იმისა, რომ ნედლი შეშის შეძენა გაცილებით ძვირია, მისი პროდუქტიულობა დაბალია, რადგან გამოშრობა ჭირდება, ამ დროს კი მავნე ნივთიერებები გამოიყოფა, რომელსაც მოსწავლეები სუნთქავენ. თივის ტუკებისგან დამზადებულ საწვავ მასალას კი გაცილებით მეტი პროდუქტიულობა ექნება და ჯანსაღ გარემოში ისწავლიან მოზარდები. ამგვარი საცდელი პროექტები ჩვენს მიერ დედაქალაქის სკოლებში უკვე ხორციელდება და ამ საწარმოს ადგილზე ამოქმედებით შესაძლებლობა მოგვეცემა ეს საწვავი დედოფლისწყაროს სკოლებსაც მივაწოდოთ. ზოგადად, სკოლების გათბობაზე 2 700 000 ლარი იხარჯება და ეფექტი ნაკლები გვაქვს, რადგან სკოლის უმრავლესობა შეშის ღუმელებს იყენებს და ამისათვლის რამდენიმე თვით ადრე ნედლ შეშას ყიდულობს. ამიტომ, ერთერთი მისაღები გზაა ის, რაზეც ვსაუბრობ. დედოფლისწყაროსა და სიღნაღის გამგებლები მოგვაწვდიან სიას, ზუსტად რამდენი ჰექტარი მიწის მფლობელებისგან გვექნება თანხმობა, რომ თივის ნარჩენი საწარმოს უსასყიდლოდ გადასცენ, რომ წინასწარ ვიცოდეთ რა დატვირთვის და სიმძლავრის საწარმოს მოთხოვნა იქნება, რომ ეს ყველაფერი დაითვალოს და გაიწეროს. უახლოეს დღეებში, როცა ეს ორი რაიონი ზუსტ ციფრებს მოგვაწვდის, რამდენი მეპატრონე იქნება თანამშრომლობაზე თანახმა და ჯამში რა ფართობი მოგროვდება. შემდეგ გარემოს დაცვის სამინისტრო ეკონომიკის სპეციალისტების ჯგუფს მოავლენს ადგილზე, რათა მათ კონკრეტულად დათვალონ ყველა დეტალი,“** — აღნიშნა გიგლა აგულაშვილმა.

პასუხად, დედოფლისწყაროელმა ფერმერებმა აღნიშნეს, რომ თუ ვინმე უზრუნველყოფს თივის ნარჩენების მოგროვება-გატანას, ისინი მხოლოდ მიესალმებიან და თანახმა არიან გრძელვადიან თანამშრომლობაზე. მათი სარგებელი კი ის იქნება, რომ ნაკვეთის გადაწვის აუცილებლობა აღარ დადგება და ნარჩენებისგან გასუფთავდება. ეს კი ნიადაგს დეგრადირებას



აცილებს და მისი ნაყოფიერება გაიზრდება. ფერმერები ხაზს უსვამენ, რომ ქარსაფარი ზოლების გაშენებაზე გაცილებით მნიშვნელოვანი და უმთავრესია ზოლების დაცვის და მისი რეგულირების საკითხი. საჯარო რეესტრის მონაცემებით უნდა განისაზღვროს ესა თუ ის ქარსაფარი ზოლი ვის ეკუთვნის, ვინაა მასზე პასუხისმგებელი. სხვა შემთხვევაში ფერმერიც დაუცველია და მოსავალიც.

პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის აპარატის უფროსმა ივერი ახალბედაშვილმა „საქართველოს კანონი ქარსაფარი (მინდორ-დაცვითი) ზოლების შესახებ“ კანონპროექტის განახლებული ვარიანტის პრეზენტაცია წარადგინა. მის მიერ წარმოდგენილ პროექტში ცვლილებების შეტანის აუცილებლობაზე ისაუბრა სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი შიოლაშვილმა. მისი თქმით, ბოლო წლებია განუწყვეტლივ საუბრობენ ამ პრობლემაზე, მაგრამ კონკრეტული შედეგი ვერ დადგა. მთავარი პრობლემა კი ისაა, რომ კანონპროექტის მიხედვით ნარჩენების მართვის საკითხზე პასუხისმგებლობა რამდენიმე სამინისტროზე ერთდროულად ნაწილდება და დაკონკრეტებული არ არის, ვის რა ნაწილში აქვს პასუხისმგებლობა და რა არის ამა თუ იმ სამინისტროს ფუნქცია.





ირაკლი შიოლაშვილი **(პარლამენტის წევრი):** „მე ვფიქრობ, უმჯობესი იქნება შევჯერდეთ იმაზე, რომ ერთ რომელიმე უწყებას ჩაბარდეს ამ საკითხის დარეგულირება, რადგან სამ-ოთხ უწყებაზე გადანაწილებული ფუნქციები ეფექტს ვერ მოიტანს. ფერმერმა ზუსტად უნდა იცოდეს, ვის მიმართოს, ვინ აგებს პასუხს. თუ რაღაც ფუნქცია ადგილობრივ მუნიციპალიტეტებსაც დაეკისრება, უნდა ვიცოდეთ, რომ ამისათვის საჭირო თანხებიც მივცეთ. თუ შესაბამისი ფული არ ექნებათ, ცხადია, ეფექტურად ვერ იმუშავებენ. რაც შეეხება მინისტრის იდეას, რომ თივის ნარჩენების გადამუშავება და საწვავად გამოყენება მოხდეს, ვერ დავეთანხმები. მე ვფიქრობ, ფერმერს მოტივაცია არ ექნება და ეს სქემა ვერ იმუშავებს. მე, როგორც დედოფლისწყაროში დაბადებულს და გაზრდილს, მიმაჩნია, რომ ფერმერებს უნდა ჰქონდეთ მოტივაცია, რომ თავისი ნაკვეთის მიმდებარედ ქარსაცავი ზოლი დაიცვან. სახელმწიფომ უნდა იფიქროს, რა სახით წაახალისებს მათ. მაგალითად, ვიცით, რომ წარმატებულად მუშაობს სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალი“. დაახლოებით ამგვარი სქემა უნდა შევიმუშაოთ. სახელმწიფომ მისცეს ნერგები, შეღავათები და თავად ფერმერმა გააშენოს და მოუაროს ქარსაფარ ზოლებს. ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა და ეფექტი უფრო მეტი იქნება. გარემოს დაცვის სამინისტრო მიგვითითებს, რომელი ჯიშის ნერგები უფრო იხარებს დედოფლისწყაროში და ამის მიხედვით მოვახდინოთ ქარსაფარი ზოლების გაშენება, ამასთან, მსხმოიარე ხეხილი დამატებით შემოსავალს მისცემს ფერმერს და გარკვეული მოტივაცია ექნება, რომ წლის განმავლობაში მის დაცვაზე იზრუნოს. ხანძრების პრევენციაში საინტერესო იქნება ისიც, თუ კარგად აღჭურვილი ეკიპაჟი ივლის და აღმოფხვრის ხანძრის შემთხვევებს. მიმაჩნია, რომ გარემოს დაცვის სამინისტროს ერთი ეკიპაჟი ვითარებას გამოასწორებს“.

ირაკლი ქადაგიშვილი **(კახეთის გუბერნატორი):** „ნიადაგის დეგრადირება ეს არის უმნიშვნელოვანესი პრობლემა, განსაკუთრებით კახეთისთვის. სწორედ ამიტომ რეგიონის სამი მუნიციპალიტეტია ჩართული. 25 წელია ეს პრობლემა ჩვენს წინაშე არსებობს. ამიტომ დროა სახელმწიფო სერიოზულად მიუდგეს ამ საკითხს და დონორებთან ერთად გადაწყვეტის გზებზე ვსაუბრობთ. დღევანდელ შეხვედრაზე დავინახეთ, რომ სახელმწიფოს ჩართულობა ძალიან დიდია. აქტიურობდნენ ადგილობრივი ფერმერებიც. აუცილებელია, ქარსაფარი ზოლების აღდგენა და ნარჩენების დროულად გამოტანა, რათა არ წარმოიქმნას ხანძრის კერები. საინტერესო ინიციატივაა მოსავლის ნარჩენების გადამუშავება და მათი საწვავად გამოყენება, ისევ ჩვენი კეთილდღეობისთვის. საკულტივაციო კულტურის გაზრდა და ცნობიერების ამაღლება უნდა მოხდეს, სხვაგვარად შედეგს ვერ დავინახავთ. ფერმერის დაინტერესების და მოტივაციის გარეშე რთული იქნება შედეგის მიღწევა. ვერცერთი სამინისტროს ძალისხმევა შედეგიანი ვერ იქნება, თუ ადგილზე არ მოხდა პრობლემის მასშტაბურობის გაცნობიერება და ცვლილებები. ერთ-ერთი ფერმერის მიერ შეხვედრაზე ითქვა, რომ საკუთარ ეზოში ასი ლარის ზარალი რომ მიაყენოს ვინმემ, ის აუცილებლად ისჯება, მინდორში კი თუნდაც ასიათასობით ზარალი ნახონ, არავინ დასჯილა. რეაგირების მექანიზმები დროულად უნდა შემუშავდეს, მაგრამ მოქალაქეთა თვითშეგნება უნდა ამაღლდეს. თუ ადამიანებმა ვიცით, რომ სხვის ეზოში არ უნდა შევიდეთ და სხვისი საკუთრება არ გავანადგუროთ, ასევე უნდა გვესმოდეს, რომ მინდორში ნაკვეთების გადაწვა დაზიანებაც კერძო საკუთრების ხელყოფაა.“

დედოფლისწყაროში და განსაკუთრებით შირაქის დაბლობზე არამდგრადი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა დიდ ზეწოლას ახდენს აგრობიომრავალფეროვნებაზე. 2014 წლის მონაცემებით, მთლიანად დამუშავებული 21,151 ჰა-დან 13,500 ჰა-ზე მეტი ხორბალი დაითესა, რაც ფართობის 64%-ია. დანარჩენ 3,384 ჰა-ზე ქერი დაითესა, ხოლო 2,675 ჰა-ზე მზესუმზირა. ეს პრაქტიკა რეგიონში აგრობიომრავალფეროვნების დაკარგვის ერთერთი მთავარი გამომწვევი მიზეზია, რადგან მიმდინარეობს პოლიკულტურების მონოკულტურებით ჩანაცვლება.

პესტიციდების და სასუქის ხშირად ჭარბი და არამიზნობრივი მოხმარება უარყოფით გავლენას ახდენს დედოფლისწყაროს აგრობიომრავალფეროვნებაზე. ფერმერთა უმეტესობას არ გააჩნია განათლება სოფლის მეურნეობის კუთხით. შესაბამისად არ იციან სასუქების და პესტიციდების სწორად გამოყენება. 2015 წელს კახეთის რეგიონში გამოიყენეს 10,300 ტონა მინერალური სასუქი, და 164, 300 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწაზე მოხდა პესტიციდების შეტანა.

კიდევ ერთი ფაქტორი, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის აგრობიომრავალფეროვნებას, რეგიონში მოსავლის ნარჩენების დაწვის პრაქტიკაა. 2015 წლის ივლისსა და აგვისტოში გავრცელებულმა ხანძრებმა გადაწვეს შირაქის სახნავ-სათესი მიწების 79%, დაიწვა აღდგენილი ქარსაფარი ზოლების დიდი ნაწილი. ძირეული მიზეზი, რაც მსგავს მასშტაბურ ხანძრებს იწვევს არის სამართლებრივი, ინსტიტუციური და პოლიტიკური ჩარჩოების არარსებობა. ეს სფერო ორი სამინისტროს ინტერესებში შედის, სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის სამინისტროების. შესაბამისად, არ არსებობს ერთი მოთამაშე ამ პრობლემის გადაწყვეტის საქმეში. ჯერჯერობით ახლა გამოიკვეთა პოლიტიკური ნება ქარსაცავი ზოლების დასაცავად ინსტიტუციური ჩარჩოების განვითარებაზე, რაც დააბალანსებს სხვადასხვა სექტორების ინტერესებს.

შემუშავებულია დედოფლისწყაროსთვის პრიორიტეტული მიმართულებები: მოსავლის ნარჩენების ალტერნატიული გამოყენება; თესლბრუნვის ხელშეწყობა; ნიადაგის დაუმუშავებლად დატოვების (ანეული) წახალისება; ნიადაგის მექანიკური დამუშავება; სასუქის და პესტიციდების მიზნობრივი გამოყენება და ინტეგრირებული ბრძოლა მავნებლების წინააღმდეგ; ღრმად მოხვნის წახალისება; ინტეგრირებული ხანძრების მართვის შემოტანა.

ილია მარტყოფლიშვილი

# „ჩემს კეთილ დამოკიდებულებას იმსახურებს ადამიანი, რომლის სულშიც მუდამ გაზაფხულია!“



**მინი დოსიე: დაიბადა 1964 წლის 11 აგვისტოს ქალაქ წითელწყაროში. ლამაზად იხსენებს ბავშვობის წლებს. დაამთავრა წითელწყაროს პირველი საშუალო სკოლა. იზრდებოდა სიკეთით სავსე, შრომისმოყვარე ოჯახში . მამა - ყარამან ნატროშვილი, ვეტ-ექიმი იყო. დედა,- ელიზავეტა (ზიზი)ნატროშვილი - ბუღალტერი. ისინი მისთვის წესიერების, პატიოსანი ცხოვრების მაგალითები იყვნენ. სკოლის დამთავრების შემდეგ ლია ნატროშვილი სწავლობდა ქალაქ თბილისში საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ელექტრო-მექანიკის ფაკულტეტზე, სამრეწველო ელექტრონიკის სპეციალობაზე . იგი პროფესიით ელექტრონული ტექნიკის ინჟინერია. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ლია ნატროშვილში კულტურისა და ტრადიციების ფესვმა უფრო იმძლავრა და თითქმის დღემდე ემსახურება ამ საქმეს. ძირითადი სამსახურების პარალელურად, თელავის სამოყვარულო მარიონეტების თეატრის მსახიობადაც მუშაობდა.**

ჩემი რუბრიკის სტუმარი არაჩვეულებრივი ქალბატონი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, აქტიური მოქალაქე, შემოქმედებითი სულით აღსავსე, სიკეთის მასხივოსნებელი მანდილოსანი, რომლისთვისაც თითოეული მოქალაქე და მის ბედზე ფიქრი, მართლაც რომ სისხლხორციელია. ქალბატონი ლია ნატროშვილი საკმაოდ საინტერესო და შემოქმედებითად მრავალმხრივი ცხოვრებით გამოირჩევა, აქტიური ქალბატონი, ამავდროულად მშვიდი და დისკუსიის მოყვარული. რაც ყველაზე მთავარია, იგი მახლავთ ქალთა ინტერესების გამტარებელი თვითმმართველობის საკანონმდებლო ორგანოში და გარკვეულწილად ცდილობს დააბალანსოს გენდერული ნიშა ჩვენს საკრებულოში. სხვა უამრავ დადებითთან ერთად ამ ნიშნითაც ლია ნატროშვილი ერთ-ერთი სასიამოვნო ქალბატონია, მანდილოსნების საყრდენია მუნიციპალიტეტის საკრებულოში. უფრო დაწვრილებით კი, თუ, როგორია საკრებულოს წევრი ქალბატონის ცხოვრება და როგორ მოჩანს მისი გადასახედიდან ჩვენი დღევანდელობა, ამასთან დაკავშირებით ლია ნატროშვილთან ინტერვიუ ჩავწერეთ.

**– ლია, „ჭეშმარიტი დემოკრატიისთვის ბრძოლა მოიცავს მნიშვნელოვან კომპონენტს,- ქალთა თანასწორუფლებიანობას“, თქვენ საკრებულოს ორი წევრი ქალბატონიდან ერთ-ერთი ბრძანდებით, ეთანხმებით ამ გამონათქვამს თუ არა?**

– ჭეშმარიტი დემოკრატიისთვის ბრძოლაში, ქალთა თანასწორუფლებიანობა ჩემი აზრით მნიშვნელოვანია. ქალის ხედვა განსხვავდება მამაკაცის ხედვისაგან ნებისმიერ ასპექტში. ბევრჯერ ცხოვრებისეულ ნიუანსებში პატარა რგოლსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონია, ამიტომ საჭიროა ქალი იდგეს ყველგან და თან თავის სიმაღლეზე.

**– რა არის ოჯახი და რამდენად მნიშვნელოვანია ჯანსალი ოჯახების არსებობა ქვეყნის სიძლიერისა და განვითარებისათვის?**

– ჩემი აზრით ოჯახი არის ადამიანთა სიყვარულით შეხმატკბილებული ბუდე, სადაც უნდა აღიზარდონ ჯანსაღი, ძლიერი, წესიერი, განვითარებული მომავალი თაობა სწორედ ასეთი ოჯახების სიმრავლე განაპირობებს ქვეყნის მომავალს .

**– ილია ჭავჭავაძე ამბობს,- „ერს, რომელსაც დღეგრძელობა და მერმისი სურს, ერთი ფიქრი უნდა ჰქონდეს“-თქვენი აზრით, არის დღეს ასე, რომ ერს ერთი ფიქრი ჰქონდეს და ხომ არ ხედავთ თანამედროვე ქვეყნის ცხოვრებაში ისეთ ადამიანებს, რომლებიც პირადი კეთილდღეობის გამო ქვეყანას სწირავენ და ქვეყნის შიდა ამბები საერთაშორისო ასპარეზზე გააქვთ?**

– ჩემი აზრით, ჩემს ერს ერთი ფიქრი არ აქვს, რაც ძალიან მაწუხებს. დიახ, ქვეყნის მასშტაბით არიან ოპონენტები, რომლებიც თავის კეთილდღეობისთვის სტრასბურგამდე გაიტანენ და გააფალჩიებენ საქართველოს, ოღონდ დაიტოვონ ფიქრები, რომ ამით რაიმე კარგ საქმეს სჩადიან, თუმცა ქვეყნის შიდა ამბების ასე გატანა და განქიქება, რომ შადიმანობაა და ქვეყნის ღალატი, ეს დავიწყნიათ, მაგრამ ქვეყნის ნამდვილი გულშემატკივრობაზე პრეტენზიები რომ ჰქონდეთ, ამგვარი საქციელებისგანაც ხომ შორს დადგებოდნენ.

**– თქვენ და პოლიტიკა. დღესდღეობით ხართ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, რამ განაპირობა თქვენი პოლიტიკაში მოსვლა და როგორ ფიქრობთ, რა ცვლილებები მოახდინეთ თქვენი მუშაობის მანძილზე დედოფლისწყაროელი ადამიანების საკეთილდღეოდ?**

– 1989 წლიდან ეროვნული მოძრაობის ქარცეცხლში ვიყავი ჩაბმული. ჩემი პოლიტიკასთან სიახლოვე არ ახალია. ამჟამად ვარ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. ჩემი პოლიტიკაში მოსვლა განაპირობა სურვილმა - თუნდაც მცირედი წვლილი შემეტანა ჩემი რაიონის აღმშენებლობაში. ჩემმა ფრაქციამ პატარ-პატარა სიკეთეების დანერგვის გარდა, ერთი საინტერესო და საჭირო ცვლილებასაც შეუწყო ხელი, კერძოდ ახალშობილ ბავშვებს გაეზარდათ დახმარების თანხა და ის 300 ლარიდან 500 ლარამდე გავზარდეთ, ეს ნამდვილად საკრებულოს მანდილოსნების დამსახურებაა.

**– ხელოვნებასთან თქვენს ზიარობაზე რას იტყოდით? ხართ რეწვის სპეციალისტი, ამ მხრივ, წლებია გაქვთ ცალკე არასამთარობო, რამ გადაგაწყვეტინათ თავის დროზე ამ საქმისთვის მოგეკიდათ ხელი და როგორ მოხდა ეს ყველაფერი?**

– თავი რომ არ შეგაწყინოთ, მოგიყვებით ჩემს ისტორიას, თუ როგორ გახდა ჰობი -ძირითადი და საყვარელი საქმიანობა . საქართველოში არეული და არასტაბილური სიტუაციებიდან გამომდინარე, ეკონომიკური მდგომარეობა არცთუ ისე სახარბიელო გახდა. სულ ვფიქრობდი, რა მეკეთებინა ისეთი, რომელიც მეტ სარგებელს მომიტანდა და ჩემ ხალხსაც წაადგებოდა. 2003 წლიდან ვხელმძღვანელობ არასამთავრობო ორგანიზაციას „ქალები XXI საუკუნეში,“ სადაც ვეწევით საქველმოქმედო საგანმანათლებლო საქმიანობას. უანგაროდ ვასწავლით თექის მოთელვას, კოჭისძაფზე, ყაისნაღითა და ჩხირებით ქსოვას, ქარგვას ბისერებით ყვავილებისა და სუვენირების დამზადებას, დაზგაზე ფარდაგების ქსოვას . ვკერავთ თოჯინებს და ტრადიციული ტანსაცმლით ვმოსავთ. ამ ყველაფერს უფროსი ასაკის მანდილოსნები აკეთებდნენ და სურვილი გამიჩნდა მომავალი თაობისთვისაც მესწავლებინა ქართული ტრადიციული ხელსაქმე, რითაც ვფიქრობ ხელი შევუწყე მივიწყებული საქმიანობის აღორძინებას. ვმუშაობ დედოფლისწყაროს “მოსწავლე- ახალგაზრდობის სახლში” ტრადიციული ხელსაქმის შემსწავლელი წრის მასწავლებლად . მე ბედნიერი ვარ და კმაყოფილი ყოველივე ამით.

**– როგორი ადამიანი იმსახურებს თქვენს კეთილდამოკიდეებულებას?**

– ჩემს კეთილ დამოკიდებულებას იმსახურებს ადამიანი, რომელიც არ ცრუობს, რომლის სულშიც მუდამ გაზაფხულია და რომელსაც ჯანმრთელი ღიმილი აქვს და რომელსაც ერის ტკივილი სტკივა. მართალი სიტყვის ქომაგიც, ჩემი ფავორიტია .

**– დაასახელეთ სამი ძლიერი ქალბატონი საქართველოში, რომლებიც თქვენი იდეალები არიან ან იყვნენ და რატომ?**

– შემიძლია დაგისახელოთ სამი ძლიერი ქალბატონი საქართველოში, რომლებიც ჩემთვის იდეალები არიან: ქეთევან დედოფალი, აღელვების გარეშე არ შემიძლია გავიხსენო ის ფაქტი, თუ როგორ აწამეს და მაინც არ გატყდა. თამარ მეფე , რომელიც სიმბოლოა შეუპოვრობის და სიძლიერის და თანაც დღემდე მისი “წყაროთი” ვსაზრდოობ. მიყვარს თამარის ციხის შემოგარენში სეირნობა და ბუნების სილამაზით ტკბობა. ჩემთვის ყველაზე გამორჩეული და სათაყვანებელი ქალბატონი იყო არის და იქნება დედა. მიუხედავად თავისი ტკივილიანი ცხოვრებისა მაინც მასწავლა, თუ როგორ უნდა ვყოფილიყავი კეთილი, წესიერი, სამართლიანი და შრომისმოყვარე.

**– თქვენი ყველაზე ძვირფასი მწერალი და პოეტი.**

– ჩემთვის ყველაზე ღირებული მწერალია გოდერძი ჩოხელი, მისი ნაწარმოებიდან „სიყვარულის ცეცხლი“ მხიბლავს სადაც ამბობს, -„როცა გზაზე ადამიანები ხშირად აღარ დადიან, გზამაც მოწყენა იცის. თანდათან ბელტდება და ვიწროვდება, მერე კი, სულაც ნაგზევი ხდება და ემატება ამ სიტყვებს: ნასოფლარი, ნასაყდრალი, ნასახლარი, ნაფუძარი, ნაცოლარი და ვინ იცის, კიდევ რამდენი სიტყვა შეიძლება შეემატოს ამ სიტყვებს, ვინ გაიგებს, როგორ ქარს წამოუბერავს ზენაარი დედამიწაზე, თუ ადამიანები საერთოდ დაივიწყებენ ისეთ სიტყვას,როგორიცაა — სიყვარული“. პოეტებიდან ჩემი საყვარელი პოეტი გალაკტიონ ტაბიძეა.

„გზა გავიარე... მსურს მოვიხედო
და დავინახო მთსა ქედები;
შავი ყორანი გზაზე მომჩხავის:
„ნიუ იხედები... ნუ იხედები!
გზაზე მივდივარ.... მსურს გავარკვიო,
გასასვლელი გზის სივრცე უცვლელი;
შავი ყორანი ისევ მომჩხავის:
„შორს ნუ გასცქერი...შორს ნურვის ელი!“

**– სამი ძირითადი რამ, რისთვისაც უნდა იბრძოლოს ადამიანმა ცხოვრების მანძილზე.**

– ჩემი აზრით ადამიანმა ცხოვრების მანძილზე უნდა იბრძოლოს სიმართლის, სიკეთის და სიყვარულისათვის.

**– თქვენი აზრით რა გრძნობაა სიამაყე, ეს ადამიანის ღირსებაა თუ ნაკლი?**

– რა არის სიამაყე? თუ ქართველმა რაღაც წარმატებას მიაღწია ნებისმიერ საკითხში, სიამაყის გრძნობით ვივსები და ვფიქრობ რომ ეს ღირსებაა .

**– სახელმწიფოს მიზანი მოქალაქეებთან მიმართებაში, იმისათვის, რომ ადამიანები ბედნიერები იყვნენ რა უნდა აჩუქოს სახელმწიფომ მათ?**

– ამ კითხვაზე შემიძლია ოდნავ ღიმილით გიპასუხოთ: კარგად გათვლილი, ხალხზე მორგებული ბიუჯეტი.

ლალი მეხრიშვილი

# ხორნაბუჯის სკოლის წარმატება

20 მარტს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხონაბუჯის საჯარო სკოლაში ჩატარდა საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის მიერ ორგანიზებული ინტელექტუალური თამაშის „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ ზონალური ეტაპი.



ნახევარფინალის საგზურებისათვის ერთმანეთს შეხვდნენ ხორნაბუჯისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ნინოწმინდის საჯარო სკოლის გუნდები. ზონალური ტურის სამი რაუნდის შედეგების მიხედვით ნახევარფინალში გადავიდა ხორნაბუჯის საჯარო სკოლის გუნდი „ხორნაბუჯი“ (ხელმძღვანელი ბერი ეგნატე (ლობჟანიძე)), რომელმაც დაამარცხა მეტოქე ანგარიშით 16:12, ხოლო ნინოწმინდის გუნდი „ჯვარი ვაზისა“ გადავიდა სანუგეშო ეტაპზე და გამარჯვების შემთხვევაში კიდევ შეძლებს ნახევარფინალში მოხვედრას.

ზონალურ ტურში თამაშის უფლება „ხორნაბუჯმა“ მოიპოვა ახმეტაში 3 მარტს გამართულ ტურში გამარჯვებით, სადაც დაამარცხა ახმეტის N1 საჯარო სკოლის და N2 საჯარო სკოლის გუნდები.

ვულოცავთ ხორნაბუჯის გუნდს და მის გულშემატკივრებს ამ გამარჯვებას და წარმატებებს ვუსურვებთ შემდგომ ტურში.



# ჟურნალისტი – ინფორმაციის მომპოვებელი თუ თანამედროვეობის მემატიანე?!

პირველი ქართული გაზეთის გამოცემის თარიღად ჩვენს ქვეყანაში 1819 წელი მოიაზრება. მიუხედავად რუსეთის მკაცრი ცენზურისა, იგი ეროვნული ჟურნალისტიკის პირველი მერცხალი გახლდათ და სახელად ჯერ „საქართველოს გაზეთი", შემდეგ კი „ქართული გაზეთი" ეწოდებოდა. 1877 წლის მარტიდან ყოველკვირეულ გაზეთად ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული პერიოდული გამოცემა „ივერია" გამოდის, იგი იყო მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანო, მისი პროგრამის ძირითადი ნაწილი კი ითვალისწინებდა ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გაძლიერებას და პოლიტიკური დამოუკიდებლობის იდეის სამსახურს.

ბეჭდვით ჟურნალისტიკაში უმაღლეს დამსახურებად ამერიკული ჯილდო პულიცერის პრემია ითვლება, იგი გაიცემა ხელოვნებისა და მწერლობის განხრითაც და მას საფუძველი მე-19 საუკუნეში უნგრელმა ჟურნალისტმა და საგაზეთო გამომცემელმა ჯოზეფ პულიცერმა დაუდო.

ჟურნალისტმა უნდა თქვას სიმართლე და მხოლოდ და მხოლოდ სიმართლე, გაავრცელოს მხოლოდ გადამოწმებული ფაქტები და ის ინფორმაცია, რომლის წყაროც თავად ჟურნალისტისთვის იდენტიფიცირებულია, ძალიან ფრთხილად უნდა გააშუქოს ის საკითხები, რომლებიც ბავშვებს ეხება. ხელი არ უნდა შეუწყოს დისკრიმინაციას, არ უნდა შეიჭრას ადამიანის პირად სივრცეში, არ უნდა იყოს პლაგიატი, არ უნდა აიღოს ქრთამი, განზრახ არ უნდა დაამახინჯოს და არ უნდა მიჩქმალოს მნიშვნელოვანი ფაქტები. -ეს არის ის ძირითადი ჩამონათვალი, რომელიც უნდა იყოს თითოეული ჟურნალისტის სამოქმედო გეგმის მთავარი პრინციპი და რომლიდან გადახვევაც დანაშაულის ტოლფასია.

რას ფიქრობს ჩვენი საზოგადოება თანმედროვე ჟურნალისტიკაზე, მის დადებით და უარყოფით მხარეებზე, რა პარალელს ავლებს გასული საუკუნის ბოლოდროინდელ და თანამედროვე ჟურნალისტიკას შორის, რამდენად დაბალანსებულად მიეწოდება მოსახლეობას ინფორმაცია , რამდენად ობიექტურად, პოზიტიურად და ნეგატიურად, ამ კითხვებზე პასუხს ჩვენი რესპოდენტებისგან შეიტყობთ.



**მიშა ბიკაშვილი, იურისტი, საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების მთავარი სპეციალისტი:** -ჟურნალისტიკა ეს არის პროფესია, რომელიც მოიცავს: სიტყვის, აზრის, გამოხატვის თავისუფლების არსს და ემსახურება ამ უდიდეს იდეას. ჟურნალისტის საქმე ხალხისთვის ინფორმაციის მიწოდებაა. დასკვნები კი, თავად ხალხმა უნდა გამოიტანოს. ჟურნალისტი უნდა იყოს ობიექტური, მიუკერძოებელი და ემსახურებოდეს ქვეყნის განვითარებას. თუმცა, იმისთვის რომ ჟურნალისტმა დაიცვას ფუნდამენტური კრიტერიუმები და დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნები ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით, მათ ხშირად უხდებათ ექსტრემალურ სიტუაციაში მოხვედრაც, ხშირად დგას მათი სიცოცხლე საფრთხის ქვეშ და უფრო ხშირად თავიანთი პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს ისინი გააზრებულად მიდიან დიდ რისკზე. სამწუხაროდ, თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკა ამ საპატიო და საპასუხისმგებლო მისიას ხშირ შემთხვევაში ჯეროვნად ვერ ასრულებს, არამედ, პირიქით, მას ლომის წილი მიუძღვის ქვეყანაში აგრესიული მუხტის დამკვიდრებაში და გადაქცეულია პროპაგანდისტულ მანქანად, რაც დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკა საქართველოს დამოუკიდებლობასთან ერთად დაიბადა და ქვეყნის განვითარების პარალელურად ვითარდება. საქართველოში ჟურნალისტობა პრივილეგირებულ პროფესიად ითვლება, თუმცა, მიმაჩნია, რომ უპირველესად ჟურნალისტობა მოვალეობა და პასუხისმგებლობაა ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე.



**მაკა სულაშვილი, ჟურნალისტი, საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი:**-მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ქართულ ჟურნალისტიკას ბევრი პროფესიონალი ჰყავს , მაინც „მეჩვენება" , რომ თანამედროვე მედიასაშუალებებს უმეტეს შემთხვევაში ყვითელი ელფერი დაჰკრავს. ჩვენი მედია ხშირად გაჟღენთილია დაუსაბუთებელი და „სიზმარში ნანახი" ცილისწამებებით და გადაუმოწმებელი ინფორმაციებით. რატომღაც მგონია, რომ სიტყვის თავისუფლება ბევრს არასწორად აქვს გაგებული და აქედან გამომდინარე, ხშირად არღვევენ ეთიკის წესებს. წერე რაც გინდა- ეს არაა მედიის თავისუფლება. მე ვეთაყვანები პუბლიცისტიკას და არა ჭორაობას. საბედნიეროდ, ქართულ მედიაში სინათლეც გვაქვს ნამდვილი, პროფესიონალური პუბლიცისტიკის სახით და თუ პირფერობაში არ ჩამომართმევთ, თქვენს გაზეთში ხშირად იწერება ასეთი სტატიები. ეს თქვენს პროფესიონალიზმზე მეტყველებს და ამისათვის გმადლობთ. ჩვენს ქვეყანაში ხელისუფლების ცვლილება მკვეთრ გავლენას ახდენს მედიის დამოუკიდებლობის ხარისხზე. მაგალითად, 2012 წლამდე მედიის თავისუფლების ინდექსით საქართველო ასეულს მიღმა იყო. 2013 წლიდან დღემდე კი ეტაპობრივად წინ წავიწიეთ. გასულ წელს საქართველოს პრესის თავისუფლების ინდექსი სამოცდაოთხი იყო, როცა ერთი წლით ადრე, 2015-ში „ფრიდომ ჰაუსმა" 69-ე პოზიცია მოგვაკუთვნა. ეს, რა თქმა უნდა , ძალიან მისასალმებელია, მაგრამ თავად ფაქტი, რომ მედიადამოუკიდებლობის ხარისხი ხელისუფლების კეთილ ნებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული, იმაზე მიანიშნებს, რომ ეს ინსტიტუტი არცთუ ძლიერია და დამოუკიდებლობის შენარჩუნების უნარი არ აქვს. ეს, რა თქმა უნდა, ბევრი ფაქტორითაა განპირობებული, მაგრამ ჩვენ ახლა მიზეზებზე არ ვსაუბრობთ. მე ვფიქრობ, რომ მედიასაშუალებების დამოუკიდებლად არსებობას ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანა სჭირდება. თუმცა, ვერ გეტყვით, ასეთ პირობებშიც კი რამდენად შესაძლებელია სრული დამოუკიდებლობის მიღწევა. ჩემი აზრით, შეუძლებელია. ჯანსაღ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოში დამოუკიდებლად კონკურენციას რომ გაუძლო, აუცილებელია მაღალი პროფესიონალიზმიც. ვფიქრობ, მედიის უმეტესობას ამ მხრივაც ბევრი სამუშაო ექნება. საბჭოთა პერიოდთან შედარებით, რა თქმა უნდა, რადიკალურად შეიცვალა გარემო, მიდგომები და სამუშაო პირობები. მოკლედ, დღეს სულ სხვა რეალობაა. აღარ არსებობს მკაცრი შტამპი, უფერული, წმინდა იდეოლოგიური ტონით გაჟღენთილი სტატიები... აღარ არსებობენ ადგილობრივი ჩინოვნიკების კრიტიკისთვის ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში წამებული შამანაურები... ფსიქიატრიული და გულაგი არა, მაგრამ თავგატეხილი და დასისხლიანებული კოლეგები და დამტვრეული კამერები წინა რეჟიმის დროსაც ბევრჯერ მინახავს... ეს ისე, ვინმეს რომ არ დაავიწყდეს და ახსოვდეთ, რომ მხოლოდ საბჭოთა რეჟიმი არ იყო ჟურნალისტებისთვის სასტიკი. მიუხედავად ყველაფრისა, ავადსახსენებელ კომუნისტურ ეპოქაში ბევრი ღირსეული ჟურნალისტი მოღვაწეობდა, მათ შემოგვინახეს ქართული პუბლიცისტიკა და მხოლოდ კი არ შემოგვინახეს, განავითარეს კიდეც, განსაკუთრებით თეორიული მიმართულებით. სიამაყით ვიტყვი, რომ უნივერსიტეტში სწავლისას მქონდა ბევრ მათგანთან ურთიერთობის პატივი. იმედია, ოდესმე შევძლებ მათთან დაკავშირებული ძვირფასი მოგონებების საზოგადოებისთვის გაზიარებას. რას შევცვლიდი ? მიჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ეს კომპლექსური სამუშაოა. მაინც ვფიქრობ, რომ ჩვენს ქვეყანას სრული პოტენციალი აქვს ჰყავდეს ძლიერი მეოთხე ხელისუფლება და ამ პოტენციალის ბოლომდე განვითარებას უბრალოდ დრო სჭირდება. დასაწყისშიც აღვნიშნე-ძლიერი მედიის განვითარებისთვის აუცილებელია ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანა და არადიქტატორული სახელმწიფო მმართველობა. ნიჭი და მონდომებაც გვაქვს. ვფიქრობ, სწორედ აქეთ მივდივართ და ყველაფერი კარგი წინ გველოდება. სულ ახლახანს ქართული ჟურნალისტიკის დღე აღინიშნა. გილოცავთ და გისურვებთ პროფესიულ წარმატებებს.



**სალომე ნატროშვილი, იურისტი, იუსტიციის სამინისტროს მრჩეველი:** -თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკა ისეთივეა, როგორიც ყველაფერი თანამედროვე პოსტსაბჭოთა და გარდამავალი დემოკრატიის ქვეყანაში. ინტელექტის და სიღრმის დეფიციტით, თავისუფლების ვულგარული გაგებით, დროდადრო ძალიან მავნე მიდრეკილებებით ფაბრიკაციისკენ, კომპრომისით, ანგაჟირებულობით. თუმცა, რამდენადაც გამოხატვის თავისუფლების ფარგლები თითქმის შეუზღუდავია იმ სტანდარტების შესაბამისად, რომლისკენაც ჩვენ მივდივართ, ეს ბუნებრივი პროცესი მგონია. ამავე დროს, უსამართლობა იქნებოდა, არ აღინიშნოს ჟურნალისტების განსაკუთრებული როლი უახლესი ისტორიის განვითარებისას, მაგალითად, ძალიან დასაფასებელია კონსოლიდაცია აგვისტოს ომის, ევროატლანტიკური ინტეგრაციისას. ამ ყველაფრის მიუხედავად, მგონია, რომ ჟურნალისტიკაც ისევე განვითარდება, როგორც შემოქმედება ან ნებისმიერი სხვა სოციალური სფერო. წარმატებებს გისურვებთ ყველა ჟურნალისტს და რაც მთავარია — ფუფუნებას იმისას, რომ იყოთ უკომპრომისოები და მუდმივად ვითარდებოდეთ.



**ლალი მეხრიშვილი, ჟურნალისტი, გაზეთ „შირაქის" კორესპონდენტი** - ქართული ჟურნალისტიკა ჯერ ისევ განვითარების გზას ადგას და ის დღითიდღე იბრძვის თავისუფალი სიტყვის დამკვიდრებისთვის. მედიის თავისუფლება გარანტიაა ჩვენი ქვეყნის დემოკრატიის სრულყოფილებამდე მისვლისთვის. არსებობენ ინსტიტუტები, რომლებიც იბრძვიან ამისთვის, რომ მედია გახდეს ბოლომდე თავისუფალი, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ თავად საზოგადოება არაა მზად იმისთვის, მიმაჩნია, რომ მედიის ბოლომდე თავისუფალებას ჯერ კიდევ წლები სჭირდება. ნებისმიერი კრიტიკა, რომელსაც წერს ჟურნალისტი, ხდება არა იმის საწყისი, რომ ეძებონ იმ კრიტიკის გამომწვევი მიზეზი და პრობლემა, რომელიც ჟურნალისტმა დაანახვათ, რეალურად აღიქვან და შეეცადონ, კრიტიკული საწყისიდან გამოსწორებამდე მისასვლელი გზა მონახონ, არამედ იწყებენ იმ კონკრეტული ჟურნალისტის მორალურ განადგურებას, რომელმაც ესა თუ ის საჭირბოროტო საკითხი წამოჭრა და მზის სინათლეზე გამოიტანა. მე ამას ჟურნალისტის სულის ამოქოლვას ვეძახი, იმ სულის, რომლის თავისუფლებაც ჟურნალისტს სწყურია, მაგრამ გარემო პირობების გამო, ამის საშუალებას არ აძლევენ. ამიტომ მიმაჩნია, რომ სიტყვის თავისუფლება, როგორც დემოკრატიის ერთ-ერთი ფუნდამენტალური ელემენტი, დღეს მაინც არ არსებობს, აქედან გამომდინარე, ჟურნალისტიკაც, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტი, თავისი განვითარების გარიჟრაჟის შუა ეტაპზეა. ამით ის მინდა ვთქვა, რომ ჯანსაღი კრიტიკა ხშირად ქვეყნის მმართველების მიერ არაა სწორად გაგებული. არადა, თუ ეს მზაობა არ იყო მიღწეული, რომ კრიტიკა ყველა მხარემ მიიღოს სწორად, მაშინ ჩვენ დემოკრატიაზე პრეტენზიები აღარ უნდა გვქონდეს. მეორე მხარეა ის, რომ არსებობენ არაპროფესიონალი ჟურნალისტები, საკუთარ ინტერესს მორგებული და ვინმეს მარიონეტად ან ბრმა იარაღად ქცეული ჟურნალისტი, რომლებიც შეკვეთით მუშაობენ იმაზე, რომ თეთრი წარმოგვიჩინოს შავად და შავი თეთრად და ამით დამკვეთის გულის მოგებას ცდილობენ. დასაწყისშივე აღვნიშნე, რომ ქართული ჟურნალისტიკა კვლავ განიცდის განვითარებას და ეს გზა ადვილი სავალი არაა, მაგრამ მაინც წინ მიიწევს. თუ ჩვენ ვართ ევროპის ნაწილი, პრეტენზიებიც საკმაოდ მაღალი სტანდარტებისკენ მიიწევს. საფრანგეთში, დამოუკიდებელი გამოცემა „შარლი ებდო" ქვეყნის პრეზიდენტზე აქვეყნებს იუმორით აღსავსე კარიკატურებს, მაგრამ ამას ჩვეულებრივ იღებენ, დემოკრატიის მებაირახტრე ამერიკაში, პრესა და ტელევიზია ტრამპის კრიტიკას არ ერიდება, მაგრამ იქ საუბარიც არ ყოფილა იმაზე, რომ რომელიმე ასეთი მედია-საშუალება შეზღუდულიყო, ყველამ იცის, რომ ეს ამერიკაა და იქ მედიის თავისუფლება ხელშეუხებელია, თვით ამგვარი შავი პიარკამპანიის დროსაც კი. საქართველოში კი თვით ელიტარული საზოგადოებაც ვერ ამსხვრევს სტერეოტიპებს და ვერ გაურღვევია სივრცე, რომელშიც კომუნისტების დროიდან მოექცნენ. ჟურნალისტიკა ითვალისწინებს რაც შეიძლება მეტ დისკუსიას, მეტ პრობლემათა წინ წამოწევას, მეტი ადამიანის მსჯელობას, მუდმივად სიახლის ძიებას და რაც მთავარია, მასალის სწორად მიწოდებას. რაც საკრიტიკოა, ისიც უნდა ითქვას, რაც დასაგმობია, ისიც უნდა დაიგმოს, რაც საქებარია, ისიც შეიქოს, თუმცა, ზომიერების ფარგლებში და ამას ყველა მხარე უნდა მიეჩვიოს, რომ ჟურნალისტის მოვალეობა, სწორედ ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხების მიღებაა.



**რუსუდან ნადირაშვილი, ინგლისური ენის პედაგოგი:** - პირველ რიგში, მინდა მოგილოცოთ პროფესიული დღე, გისურვებთ წარმატებებსა და ბევრ საინტერესო რესპოდენტს!

ჟურნალოსტიკა ერთ-ერთი საინტერესო და საპასუხისმგებლო სფეროა. დიდია ხალხის მხრიდან ნდობა და ინტერესი, ამიტომ ჟურნალისტი უნდა აცნობიერებდეს, რომ მოქალაქეების მიმართ მოვალეობა უფრო მაღლა დგას, ვიდრე პროფესიული ეგოიზმი. აუდიტორიის მიმართ ერთგულება უნდა იყოს მისთვის უმნიშვნელოვანესი. მე არ ვფიქრობ, რომ მშვიდობის ხელშეწყობა ჟურნალისტის საქმე უნდა იყოს, ჟურნალისტების საქმე ყველა იმ იდეის ხელშეწყობაა,

**(გაგრძელება გვ.8)**

(წაუკითხეთ პატარებს)

# სოჭის ხის ამბავი

მე პატარა სოჭის ხე ვარ, უღრან ტყეში ვცხოვრობ, ჩემს ახლოს სხვა სოჭის ხეები არ არიან, მხოლოდ ვეებერთელა წიფლები დგანან ირგვლივ. ჩემი ჯიშის ხეები ცოტა მოშორებით, ეგერ, ტყიან ფერდობზე არიან თავმოყრილი და იქიდან გადმომცქერიან. მეც აქედან გავცქერი მათ, ხმასაც ვაწვდენთ ხოლმე ხანდახან ერთმანეთს. აქ, წიფლების ვაკეზეც ყოფილან ადრე სოჭის ხეები, მაგრამ ახლა მე ვარ მარტო. აქვე ნეკერჩხლებიც დგანან, აგერ იქით - თელები. დაბლა, მოშორებით, მუხები, რცხილები, წაბლები და ცაცხვები მომრავლებულან, შორს, მთის ფერდობზე - ნაძვები.

აქვე არიან შქერი, ჭყორი, ძახველი, დიდგულა და სხვა დიდი და პატარა მცენარეები. მაღალი მთის მისადგომებთან კი ცირცელი და არყი ხარობს. ჩვენ ყველანი მოძმენი, ერთი მიწის შვილები ვართ, ამიტომ გვიყვარს ერთმანეთი. მაგრამ ხანდახან მარტო ვარ თითქოს. ზოგჯერ მთელი დღე ისე გავა, რომ მეზობლები ერთ სიტყვასაც არ მეტყვიან. წიფლები და თელები ჩემზე უფროსები არიან და ამიტომ უფრო მეტად ფიქრებს არიან მიცემულნი. ფიქრი და დუმილი სიბრძნის ნიშანია ტყეში. ვინ იცის რაზე ფიქრობენ? ერთმანეთსაც იშვიათად ესაუბრებიან.

- ტყეს სიწყნარე და სიმშვიდე შვენისო, - იტყვიან ხოლმე.

მე ხანდახან გადმომხედავენ და ხმას მომაწვდენენ.

- როგორა ხარ, პატარა მეზობელო, ხომ არ მოიწყინეო, - დამძახებს

ხოლმე ჩემს გვერდით მდგომი დიდი წიფელი.

სხვებიც კეთილად მიცქერენ. მეც ყველა მიყვარს, ყველა

და ყველაფერი, რაც ჩემს ირგვლივაა. ეს მაღალი წიფლებიც, შქერიც, იქით ნახევრად გამხმარი თელა რომ დგას, ისიც

მიყვარს, მიყვარს და მებრალება საწყალი, ამ ზამთარში ზედა

ტანი თითქმის მთლიანად გაუხმა. ჩემს შორიახლო მოჩხრიალე

ნაკადულიც მიყვარს. იგი აი, იქ, ზევით, მთის ფერდობზე,

შქერით დაფარული კორდის ქვეშ გამოედინება. ჩვენ ყველანი ვაკეზე ვცხოვრობთ, ჩვენს ქვევითაც უღრანი ტყეებია გადაშლილი, ზევით კი

მთის ციცაბო კალთები იწყება, ასევე ტყით დაფარული. ზოგჯერ

მთის წვერსაც ვხედავ, მაღლა, მზის სიახლოვეს. იგი

ხან სხივებდაფენილია, ხან ნისლებშია დაკარგული. იქ ხეები

აღარ არიან, მთის სქელი ბალახი ხარობს მხოლოდ. ლამაზლამაზი ყვავილებიც არიან გარეული იმ ბალახშიო, მთიდან

ჩამოსული ნიავი მიამბობს ხოლმე. მე აქედან ყველაფერს

ვერ ვამჩნევ, - ძალიან შორსაა მთის წვერი... ჩემს ახლოს, ჩადაბლებულ ადგილას პატარა ტბა დგება ხოლმე. ეს მაშინ,

როცა გაზაფხულზე თოვლი დნება. ხშირად ვიხედები ტბაში, ის ჩვენი პატარა სარკეა. ახლაც გაზაფხულია, წიფლებს უკვე დაებერათ კვირტები, მალე ამწვანდებიან კიდეც. მე კი სულ

მწვანე ვარ ზამთარშიცა და ზაფხულშიც, ლამაზიცა ვარ. სხვა ხეებიც ძალიან ლამაზები არიან. მე ისინი განსაკუთრებით შემოდგომით მომწონან, წითლად და ყვითლად მორთულიბი. იმ დროს მთელი ტყე უმშვენიერეს ფერებშია გახვეული და ნელა, ფარფატით ცვივა ეს აფერადებული ფოთლები. ზოგი

მათგანი ჩემს ტოტებზეც დაეცემა ხოლმე — ამით თითქოს მეფერებიან ხეები. ზამთრისპირზე კი ყველანი გაიძარცვებიან და მებრალებიან, თუმცა რა ჭირთ შესაბრალებელი? მე უფრო ბედნიერი მგონია თავი, რადგან სულ მწვანე ვარ. იქნებ ამიტომ უფრო მოვწონვარ და ვუყვარვარ ყველას, თუმცა ზამთარში უფრო ვიქცევ სხვა ხეების ყურადღებას. განა მარტო ხეები, ზოგჯერ მზის სხივებიც მესაუბრებიან. მათთან საუბარი კი ძალიან

მნიშვნელოვანია ჩემთვის, მათ ხომ მთელი სამყაროს ამბები იციან. ლოცა მათ ვუსმენ, მგონია, რომ სიცოცხლე მარადიულია, დაუსაბამო...

ხანდახან წვიმა დაუშვებს და ჩამოაქვს ჩემთან ცის და ღრუბლების ამბავი. რა საამურია ზაფხულში წვიმით გაგრილება! მთელ ტანში ნეტარების ჟრუანტელი დამივლის ხოლმე, როცა წვიმის შხაპუნა წვეთებში გავეხვევი...

ნიავიც ხშირად მესაუბრება. მან მთელი ტყისა და მაღალი მთების

ამბავი იცის, ყველაფერს გვიყვება, ტყის ბინადართა თავგადასავლებს წვრილ-წვრილად ჩამოგვიკაკლავს და ხანდახან თავსაც მოგვაბეზრებს ხოლმე. მაგრამ ძალიან გვიყვარს მაინც ყველას, ისაა ჩვენი ხმის გამცემი. ქარი კი იშვიათადაა ჩვენთან, მთის უბეში ვართ და იმიტომ. კარგია ქარში რწევა, მაგრამ ძლიერი ქარი საშიშია და არავის უყვარს. თოვლის მოსვლაც

გვიხარია, მე ძალიან მალამაზებენ თოვლის ფიფქები, როცა ტოტებზე დამეფინებიან. ოღონდ დიდი თოვლი არ მიყვარს, მას თუ ზედ ქარიც დაერთო, მაშინ შეიძლება რაიმე ცუდი ამბავი მოხდეს ტყეში.

ეს ზამთარი ადვილად გადავიტანეთ, მხოლოდ შარშანდელი ზამთარი იყო საშინელი. შარშან ძალიან დიდი თოვლი მოვიდა. ტოტები ყველას ფიფქებით გადაგვითეთრდა. ჩემს ტოტებსაც დიდი თოვლი დაედო. ერთ საღამოს ისეთი თოვა დაიწყო, რომ ირგვლივ აღარაფერი ჩანდა. თითქმის მთელი კვირა თოვდა. ერთხელ ღამით ისეთი გრუხუნი მომესმა, მეგონა ცა დაგვექცა-მეთქი თავზე. იმ დროს რომელიღაც წიფლის კვნესა და ოხვრა გავიგონე, მაგრამ რომელი იყი, სიბნელეში ვერ გავარჩიე. როცა გათენდა, დილით, დავინახე, რომ ჩემს მოშორებით მდგარი ბებერი წიფელი წაქცეულიყო. საწყალი თითქმის ძირში გადატეხილი თოვლიან ვაკეზე იყო გადაწოლილი. ძალიან დაგვწყდა ყველას გული. ოხრავდნენ ირგვლივ ხეები და მისტიროდნენ მეზობელს. ფუტურო შერეოდა გულში ბებერ წიფელს.

- ალბათ, გრძნობდა თავის აღსასრულსო, - ამბობდა ჩემს გვერდით მდგარი შუახნის წიფელი. მას აქეთ გდია იმ წიფლის ტანი ჩვენს თვალწინ, თითქმის გახმა უკვე. ძალიან კეთილი იყო ბებერი წიფელი. იშვიათად საუბრობდა, მაგრამ როგორი ბრძენი იყო! აბა, რა იქნებოდა? უკვე მეოთხე საუკუნეს ასრულებდა. ღამდენი რამ ენახა, რამდენ ქარიშხალს გადაევლო მის თავზე? მის მოსმენას არაფერი სჯობდა - დინჯად, დარბაისლურად ყვებოდა საუკუნეთა მიღმა მომხდარ ამბებს. შთამომავლებიც ბევრი დატოვა - ეგერ, რამდენი ახალგაზრდა წიფელია მის ფესვზე დაზრდილი და რამდენი კიდევ მისი ნაყოფიდან აღმოცენებული. იმ ზამთარმა მეც არ დამაყარა კარგი დღე. ერთ საღამოს ტყეში ქარმა დაუბერა, თან თოვდა. ვიფიქრე, იქნებ ჩემი ტოტებიდან თოვლი გადაყაროს და გავთავისუფლდე-მეთქი. მაგრამ ვაი ასეთ გათავისუფლებას! ღამით ქარმა ისე ძლიერ გადამწია, მეგონა წავიქცევი და მიწიდან ძირფესვიანად

ამოვვარდები-მეთქი. ჩემმა ტანმა ველარ გაუძლო ამდენ სიმძიმეს, კენწერო გადაიხარა და გადატყდა. ძალიან მეტკინა გადატეხილი ადგილი და ავქვითინდი. სიბნელეში წიფლებმა ვერაფერი დაინახეს, მხოლოდ ჩემს ხმაზე გამოერკვნენ და მომაძახეს:

- რა მოგივიდა, პატარა სოჭოო?

დილით კი თავიანთი თვალით ნახეს, რაც მომივიდა. ყველას შევებრალე, მაიმედებდნენ, მეალერსებოდნენ, მაგრამ ველარაფერი მიშველეს. მერე კი დააწვა თოვლი იმ გადატეხილ კენწეროს და მთლიანად ჩამომაცილა. ეჰ, ძლიერ დავიჩაგრე, მანამდე უფრო ლამაზი და მშვენიერი ვიყავი. დავკარგე მომავლის იმედი, მაგრამ წიფლებმა მანუგეშეს ისევ:

- ნუ გეშინია, პატარა სოჭო, ახლა სხვა ყლორტები ამოგივა და უკეთესი კენწერო გაგეზრდება, შენ კიდევ არ იცი სიცოცხლის წესი, აი, ნახავ, გაზაფხულდება და იმედიც გაგიჩნდებაო.

მართლაც, იმედი მომეცა და გაზაფხულზე ეს იმედი გამიმართლდა კიდეც - ჩემს გადატეხილ კენწეროსთან სამი პატარა ყლორტი ამომივიდა. ძალიან გავიხარე. ახლა ეს ყლორტები უკვე წამოზრდილები არიან. მზის ბრწყინვალე სხივები ანათებენ ჩემს ტანს, თბილად უალერსებენ ახალ ყლორტებს და მეც შევხარი მზეს, - გამათბე, მზეო, მოჰფინე შენი სითბო და სინათლე ჩვენს ტყეებს, მოგვიალერსე და მოგვეფერე!

კიდევ რა მახარებს იცით? ერთი წითელგულა, ლამაზი ჩიტი შემომეჩვია - დაჯდება ჩემს ტოტზე, ჭიკჭიკებს, დახტუნავს, მერე კი მყუდრო ადგილს მოძებნის და იქ გაყუჩდება ერთხანს. ხანდახან იგი მეორე ჩიტს, თავის მეწყვილეს მოიყოლებს ხოლმე.

ძალიან მხიბლავს ტყის ბინადარი ცხოველებისა და ფრინველების

ხილვა. ერთხელ დათვი ვნახე თავისი ბელებით, შემოდგომის მზიან დღეს გაიარა აქვე. რამოდენა იყო ის ოხერი! მოაშრიალებდა ხმელ ფოთლებს, მერე გადათელა შქერის ტოტები და წავიდა. უკან ბელები მისდევდნენ, პატარები, სასაცილოები. შველი და მელაც მინახავს რამდენჯერმე, უფრო ხშირად კი - წიფლის ტოტზე მოხტუნავე ციყვები. ფრინველები ხომ მუდამ ჩვენთან არიან: ჩხიკვები, შაშვები, წივწივები, წიფლისჩიტები, ნიბლიები, კოდალები, სტვენიები და სხვანი. ზამთარში უფრო ხშირად მსტუმრობენ ჩიტები. ჩემი მეზობელი წიფელი მეუბნებოდა ხოლმე, როცა გაიზრდები, გახშირტოტიანდები, ჩიტები გაიკეთებენ ბუდეს შენს ვარჯშიო. იქნებ ბუდის გაკეთება უნდათ იმ წითელგულა ჩიტებს, ასე ხშირად რომ მაკითხავენ?

ამას თუ ვეღირსე, მართლა ბედნიერი ვიქნები. თუ მოინდომებენ, ჩემს ახალ ყლორტებს შორის მშვენიერი ბუდე ჩაიდგმება. იცხოვრებენ ჩემთან ლამაზი ჩიტები, დაზრდიან პაწაწინა ბარტყებს. ყველა ხეს ეამაყება, თუ მასზე რომელიმე ფრინველი ბუდობს.

ჩემი ახალი ყლორტები კი მალე კენწეროებად გადაიქცევიან დღითი დღე ეტყობათ ზრდა. წელს რამდენიმე გირჩიც გამოჩნდა ჩემს ტოტებზე. ახლა უფრო ხალისიანად ვესაუბრები მეზობელ წიფლებს. ისინიც ღიმილით მიცქერენ, უხარიათ ჩემი სიკეთე.

- ხომ გეუბნებოდითო, შენ კი გეშინოდაო, აბა, შენ იცი, გაიზარდე, ფესვები შორს გაიდგი და მერე პატარა სოჭები აღმოაცენე, რათა გამრავლდე და გაძლიერდე. ხომ ხედავ, დიდი ადგილი გვაქვს ირგვლივ, სხვებთან ერთად სოჭის ხეებიც გამრავლდით და მოჰფინეთ სილამაზე ამ მიდამოს, შენც ხომ ჩვენი მოძმე ხარო. შორს, ჩვენი ტყის ბოლოში უცხო ჯიშის, ეკლიანი და მყრალი მცენარეები გაჩენილან. უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი ადგილები მათ არ დაიჭირონ, ჩვენვე უნდა გავმრავლდეთ საკუთარ მამულშიო.

მართლაც რა გონიერები არიან წიფლები. აი, როგორ ფიქრობენ ისინი ტყის მომავალზე, უნდათ, რომ ლამაზი და მდიდარი იყოს ჩვენი ტყე. მეც ვცდილობ, რომ მალე გავიზარდო, მალე ავტყორცნო ჩემი კენწეროები ცისაკენ, გავეჯიბრო ჩემს კეთილისმყოფელ მეზობლებს სიმაღლეში. ღმერთო, მისმინე და ამიხდინე ჩემი ოცნებანი, გამაძლიერე და გამამრავლე, რომ სამუდამოდ არსებობდეს ჩემი ლამაზი ჯიში ამ მშვენიერ ტყეში...

გივი ჩიღვინაძე











მხატვარი თათია დარჩიაშვილი

# სპორტი



დედოფლისწყაროს უშუს გუნდი (მწვრთნელი გიორგი ცისკარაული) 18-19 მარტს იმყოფებოდა საქართველოს თასის გათამაშებაზე უშუში. ტურნირში თოთხმეტი დედოფლისწყაროელი სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას. შედეგები ასე გადანაწილდა: რვა პირველი, ოთხი მეორე და ორიც მესამე ადგილი ხვდათ ჩვენს სპორტსმენებს წილად. ჩემპიონები გახდნენ: ნიკა წიკლაური, თაზო ღვინიაშვილი, თორელ ცისკარაული, ლუკა პოპიაშვილი, პეტრე წიკლაური, ნიკა გლაცოშვილი, სერგო პეტროსიანი და ლევან წიკლაური. მეორე ადგილის მფლობელები გახდნენ: ლოვა ბაიროიანი, გიორგი კეკიშვილი, გივი გოჩიტაშვილი, ლაშა ბენაშვილი, ხოლო მესამე ადგილს დასჯერდნენ გიორგი ცისკარაული და გოგა წიკლაური.

„შემართება, რა თქმა უნდა, საბრძოლო იყო, ბიჭებმა კარგი ფიზიკური, ტექნიკური და ფსიქოლოგიური მომზადება გაიარეს შეჯიბრამდე და, შედეგმაც არ დააყოვნა. რაც შეეხება ჩვენს მოწინააღმდეგეებს, შეჯიბრებაზე საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის სპორტსმენები იღებდნენ მონაწილეობას ბათუმიდან, ფოთის, ზუგდიდის, მარტვილის, ქუთაისის, ბორჯომიდან, თბილისიდან, საგარეჯო და სხვა.

შეჯიბრებაზე გამგზავრების ხარჯები მთლიანად დაფარა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურმა, რის გამოც დიდ მადლობას ვუხდი ჩვენი გუნდის სახელით სამსახურის დირექტორს ავთანდილ ხუმარაშვილს."-განაცხადა გაზეთ „შირაქთან" საუბრისას გიორგი ცისკარაულმა.

18-19 მარტს თბილისში გაიმართა „ევრაზიის თასის პირველობა" კუნგფუ-ფაიტინგში, რომელშიც 5 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ საქართველოდან, რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და უზბეკეთიდან. საქართველოს სახელით დედოფლისწყაროს რეგიონალური ფედერაციის და სპორტის ცენტრის ნაკრები ორი სპორტსმენით იყო წარმოდგენილი – 12 წლის ნუკრი ქოზაშვილმა იასპარეზა 38-41 და 41-44 კილოგრამ წონით კატეგორიაში, ხოლო 15 წლის ოთარ გავაშელაშვილმა - 83-87 კილოგრამ წონით კატეგორიაში. მათ ტოლი არ დაუდეს საკმაოდ ძლიერ მოწინააღმდეგეებს და ორივე სპორტსმენმა შესანიშნავი შედეგი დადო: ნუკრიმ ორ წონით კატეგორიაში პირველი და მეორე ადგილი დაიკავა, ოთარმა კი მხოლოდ ფინალი წააგო და მეორე ადგილს დასჯერდა. დასანანია, რომ ფინანსების უკმარისობის გამო შეჯიბრში მონაწილეობა ვერ მიიღო ექვსმა სპორტსმენმა, რომლებიც მზად იყვნენ ასპარეზობისათვის და ეჭვგარეშეა, ისინიც კარგ შედეგს მოუტანდნენ კლუბ „ლეგიონს". ისევ ჩვენი შვილების ჯანმრთელობისა და სწორი აღზრდისათვის სასურველია, თუ რაიონის წარმატებული და შეძლებული ადამიანები დახმარების ხელს გამოგვიწვდიან და მოგვცემენ საშუალებას, კიდევ უფრო მეტ წარმატებებს მივაღწიოთ და ვასახელოთ ჩვენი რაიონი.

26 მარტს იმართება დიდი ტურნირი ძალის მიერ სამჭიდში. ასპარეზობისათვის გუნდი მომზადებულია და წარმატებებს ველოდებით.

**მწვრთნელი**
მიხეილ სეხნიაშვილი

# ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავს აღნიშნავს

ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ასი წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში გამართულ საზეიმო ლიტურგიას დაესწრება. საზეიმო ლიტურგია 25 მარტს 10:00 საათზე აღევლინება. გარდა ამისა, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის იუბილესთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვადასხვა ღონისძიება გაიმართება. გამოფენა,,ავტოკეფალია 100", რომელზეც წარმოდგენილი იქნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და მუზეუმში დაცული საეკლესიო უნიკალური გამოცემები და ხელნაწერები, 23 მარტს 10:00 საათზე გაიხსნა. წარმოდგენილი ნამუშევრები არამარტო თავიანთი ისტორიული მნიშვნელობით, არამედ მაღალმხატვრული პოლიგრაფიითა და კალიგრაფიით გამოირჩევიან. **პატრიარქი** პიმენი: ქართული ეკლესია წმინდა მართლმადიდებლობის სიწმინდის დამცველია. დამთვალიერებელს შესაძლებლობა ექნება გაეცნოს საქართველოს პირველი კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ მეორის პირადი წიგნების კოლექციის ნაწილს, გაიხსენოს ქართული წიგნის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპები და პოლიგრაფიული ცენტრები, რომლებიც ფუნქციონირებდა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. გამოფენაზე აგრეთვე წარმოდგენილი იქნება ავტოკეფალიის აღდგენის პროცესში მონაწილე სასულიერო პირების ფოტოები (კირიონ II, ლეონიდეს, კალისტრატე ცინცაძის, ამბროსი ხელაიას და სხვათა). დამთვალიერებლისთვის განსაკუთრებით საინტერესო იქნება ის უნიკალური საარქივო ხელნაწერები, რომლებიც დოკუმენტურად ასახავენ 100 წლის წინ საქართველოში ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასთან დაკავშირებით განვითარებულ რთულ პროცესს. ავტოკეფალიის აღდგენის ასი წლისთავს ასევე სამეცნიერო კონფერენცია მიეძღვნება. კონფერენციაში მონაწილე საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლები, საპატრიარქოს წარმომადგენლები წაიკითხავენ ამ უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენისადმი მიძღვნილ მოხსენებებს, ისაუბრებენ ამ საკითხთან დაკავშირებულ საზოგადოებისთვის უცნობ ფაქტებზე. ქართული ეკლესიის ავტოკეფალია და საპატრიარქო რუსეთის საიმპერატორო კარმა 1811 წელს გააუქმა და საქართველოს საეგზარქოსო დააარსა, რომელიც რუსული ეკლესიის სინოდს ემორჩილებოდა. ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქად ცნობილი საეკლესიო მოღვაწე კირიონ მეორე აირჩიეს. 1989 წელს ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, რომელიც მეხუთე საუკუნიდან არსებობს, მსოფლიო საპატრიარქომ დაადასტურა. 1977 წლიდან დღემდე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორეა.

## გერსკომი ავსაჯანიშვილი



გერსკომი, ეს ბობოქარი სულის ადამიანი, მშრომელი, პატიოსანი, ბავშვების და მრავალი ქვრივ- ობოლის პატივისმცემელი, სახლი, რომელიც ყველას და ყოველთვის ემახსოვრება სანამ ცნობიერება ექნებათ; ცოლს, შვილებს, შვილიშვილებს, ნათესავებს, ახლობლებს და მეგობრებს თავისი სიკეთით და თავსგადახდენილი იუმორით დაამახსოვრა თავი. გერსკომ, 4 წლის ავადმყოფობის შემდეგ წახვედი და დაგვიტოვე მოუშუშებელი ტკივილი, ავადმყოფობით დაღლილი ყველას ბავშვივით უმწეოდ და ჩუმად შემოგვყურებდი, მაგრამ ვერაფერს გშველოდით. ძნელია ოჯახის ბურჯის დაკარგვა, აუტანელია უშენობა, ყველას გვენატრები. გერსკომ, შენ ხომ 27 მარტს 75 წლის გახდებოდი, ეს რიცხვი შენი გარდაცვალების მე-40 დღეა, როდესაც წარსდგები პირად სამსჯავროზე უფლის წინაშე, ჩვენ მოვალთ შენს საფლავზე, დაგინთებთ წმინდა სანთელს და შევთხოვთ ღმერთს, ნათელში ამყოფოს შენი სული და გზა გაგინათოს სამარადისო სასუფევლისაკენ.

შენი მეუღლე, შვილები და შვილიშვილები.

## გიორგი გიებაშვილი



ჩვენო საყვარელო შვილო, გიორგი, უკვე 12 წელია, ჩვენთან აღარ ხარ. უსაზღვროდ გვენატრები ყველას, შენს მშობლებს, ძმას, ახლობლებს, მეგობრებს. ვინ იფიქრებდა, თუ ასეთი ვაჟკაცი ასე ნაადრევად, სამუდამოდ გაიხურავდი შენი თბილი და ლამაზი ოჯახის კარს. ვერასოდეს ვიფიქრებდით, თუ ოდესმე მოგვიწევდა იმ ცრემლით სავსე ტკივილის ტარება, რასაც შენი სახელი ჰქვია. შენმა უდროო სიკვდილმა მოუშუშებელი ჭრილობა დაგვიტოვა ყველას, შენს მშობლებს , ძმას, რომელიც განიცდის უშენობას, ყველა ახლობელს.

ჩვენო შვილო, ამბობენ, რომ დრო მკურნალია, მაგრამ რაც დრო გადის, გულის ტკივილი უფრო და უფრო გვემატება. რამე სასიხარულოს თუ გავიგებთ, იმწამსვე შენს თავს წარმოვიდგენთ. ის სიხარული ჩემთვის და მამაშენისთვის არ არსებობს. მაშინვე გავიფიქრებთ:- „ნეტავი ჩვენი გიორგიც მოსწრებოდა". შვილმკვდარი მშობლებისთვის დრო არასოდეს არ არის მკურნალი.

გიორგი, შვილო, 24 მარტს დაბადების დღე გაქვს უკვე მეთორმეტედ გულისტკივილით, სევდით და ცრემლებით ვხდებით შენს დაბადების დღეს. კვლავაც დარდიანი გულებით, შენს წმინდა საფლავს ყვავილებით დავამშვენებთ, ცრემლიანი თვალებით სანთლებს დაგინთებთ და მოგილოცავთ 32 წლისთავს. ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროს, ჩვენო ვაჟკაცო!

შენი ოჯახი

## ნიკა სეფიაშვილი



იმ ავბედით დღეს, 15 მარტს, ნიკამ სამუდამოდ დაგვტოვა და უფალთან მარადისობაში გადაინაცვლა.

ჩვენო მარად 15 წლის ვაჟკაცო, 11 წელი გავიდა, რაც ტირილითა და მოგონებებით ვცოცხლობთ, ვაი ამ სიცოცხლეს, გვენატრები, გელოდებით, მაგრამ არსად ჩანხარ. შენს თანატოლებს რაიმე გასაჭირში რომ დავინახავ, შენ მგონიხარ და შეძლებისდაგვარად ვეხმარები.

ღმერთმა გიმრავლოს და გიცოცხლოს შენთვის მლოცველები. 15 მარტს რამდენმა ღვთისმსახურმა გადაიხადა შენი სულის მოსახსენებელი პანაშვიდი.

გაჭირვებული ადამიანის ნავთსაყუდელი ხომ ეკლესიაა და მეც მას მივაშურე. იმ დღესაც, აღდგომის დიდ მარხვაში, მიცვალებულთა მოსახსენიებელი პანაშვიდი ტარდებოდა სამლოცველო სახლში, მე ვტიროდი ვიღაც ქალი მოვიდა ჩემთან და მითხრა- მეცოდები რომ ტირიხარ, რა აქვს შენს ნიკას სატირელი, ნეტავი როგორც ჩემი სოსო და შენი ნიკა ბედნიერები არიან უფალთან, ასე ყველა იქნებოდესო. მე შევცბი, საბრალო გაგიჟებულა-მეთქი, ვიფიქრე.

გავიდა 5-6 წელი. მე სისტემატურად დავდიოდი ეკლესიაში. ყველას მოჰქონდა წმინდა მამების წერილები, კარგად გავერკვიე უფლის მცნებებში, ნიკას სახელზე ბევრ მოწყალებას ვაკეთებდი (და კვლავაც გავაკეთებ) და წარმოიდგინეთ , ახლა მივხვდი იმ ქალის ნათქვამს, თუ რატომ იყო ნიკა ბედნიერი. უფალმა თავისთან წაიყვანა და ყველა უბედურებას ააცდინა.

ჩვენო სიცოცხლევ, 28 მარტს შენი დაბადების დღეა, 26 წლის გვეყოლებოდი, რა ბედნიერები ვიქნებოდით. გილოცავთ და გეფერებით.

ჩვენო ალალო და კეთილო ბიჭო, მაინდან ილოცე შენი მამუკასთვის და ეკასთვის, ზუკასთვის, ნინოსა და ნიკასთვის, ყველა თანატოლებისთვის, რომ ღმერთი იყოს მათი მფარველი.

ღმერთო, ნათელში ამყომფე პატარა ნიკას სპეტაკი სული.

შენი ოჯახი

# ჟურნალისტი — ინფორმაციის მომპოვებელი თუ თანამედროვეობის მემატიანე?!

(მეხუთე გვერდიდან)

რომელიც საინტერესო ამბის შექმნაში ეხმარება. თუმცა, ბოლო დროს ხშირია ზოგიერთი მედია საშუალებების მხრიდან სიტუაციის ხელოვნურად გართულება და ხალხისთვის შხამნარევი „სიმართლის" მიწოდება, რაც გარკვეული პოლიტიკური ლიდერების ზეგავლენით აიხსნება. ამ მხრივ არის ჩავარდნები მედიის თავისუფლების თვალსაზრისით.

თანამედროვე ჟურნალისტებს მრავალმხრივი საშუალება გაქვთ ინფორმაციის გასავრცელებლად. აქტიურად იყენებთ სოციალურ ქსელს, ეს კი ხელს უწყობს მოსახლეობის მეტად ინფორმირებას. ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ხშირად ვერ ვახერხებ საინფორმაციო გადაცემების ყურებას, ჩემი ინფორმაციის წყარო ინტერნეტია, ძალიან მომწონს ამ მხრივ ჟურნალისტების აქტიურობა.



ძნელია, მოკლე ხანში ძირეული და სასიკეთო ცვლილებების მოხდენა ჟურნალისტიკაში, მაგრამ ამის საშუალება რომ მომეცეს მაინც შევეცდები...

პირველ რიგში, მედია იქნებოდა თავისუფალი, არ შეიზღუდებოდა არცერთი ჟურნალისტის პირადი თუ პროფესიული უფლება. მედია თავისუფალი იქნებოდა პოლიტიკისგან, ჟურნალისტები ხალხს უნდა ემსახურებოდნენ და არა რომელიმე პოლიტიკურ ლიდერს ან პარტიას.

შემთხვევითი არ არის, რომ ომების უმრავლესობას წინ უსწრებს მოწინააღმდეგეზე საშინელი მედიაკამპანია. ასე რომ, თუ ხალხზე ჰუმანურად დაწერ, შეიძლება ამან მშვიდობას შეუწყოს ხელი. ვფიქრობ, რომ კარგი ჟურნალისტიკა და ინტერნეტის კონკრეტული ასპექტების გამოყენება სოციალური ქსელის ჩათვლით, მართლა სასარგებლო საქმედ შეიძლება წარმოვაჩინოთ. ჩემი აზრით, აქტიური მუშაობაა საჭირო ამ კუთხით".

ლალი იაკობიშვილი, **ფილოლოგი, ფარმაცევტი, ინტერნეტ-კომპანიის მენეჯერი:**-თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ჟურნალისტიკა ზოგადი სფეროა და ერთ სივრცეში და ერთ სტანდარტში ვერ მიმოიხილავ, ეს არის დამოუკიდებელი ხედვა და აზრი ყველაზე და ყველაფერზე, ამიტომ არ მგონია, რომ მე უნდა მომწონდეს ან არ მომწონდეს, ვთვლი, რომ, ვისაც როგორ ესმის, ისე ემსახურება და ისე ირგებს ჟურნალისტის მანტიას, უბრალოდ ვისურვებდი, მეტი დამოუკიდებელი და თავისუფალი სივრცე იყოს ჟურნალისტიკაში საკუთარი აზრის დაფიქსირების და აქტივობების კუთხით, რადგან ეს სფერო დიდი ძალის მატარებელია და ბევრ სასიკეთო საქმესაც ემსახურება. გისურვებთ წარმატებებს.

გიორგი ნატროშვილი, **ლიტერატურული ალმანახის „ხორნაბუჯი" რედაქტორი:** - მე-20 საუკუნის დასასრულის და დღევანდელ ჟურნალისტიკას შორის ძალიან დიდი განსხვავებაა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩაკეტილ სივრცეში ვცხოვრობდით და კომუნისტური წნეხი თავის ბეჭედს ასვამდა ყველაფერს. დღევანდელი ჟურნალისტიკა ბევრად თავისუფალია, ახალ თაობებს არ უცხოვრიათ იმ სივრცეში და იმ წნეხს მათზე არ გაუვლია, მაგრამ აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ნეგატივი ძალიან სჭარბობს პოზიტივს და ბალანსი დარღვეულია ამ მიმართულებით, ძირითადად სკანდალზეა ორიენტირებული მათი მუშაობა, მე მაგალითად ინფორმაციას „რუსთავი-2"-დან არ ვიღებ. აგრეთვე, მე როგორც ლიტერატორს, ძალიან თვალშისაცემ ნაკლოვანებად მიმაჩნია ჟურნალისტების გაუმართავი მეტყველება, გრამატიკული შეცდომები და ვთვლი, რომ სერიოზული ტრენინგები და სწავლებები ესაჭიროება დღეს ქართულ ჟურნალისტიკას. რაც შეეხება ობიექტურობას, თითქმის ყველა ტელევიზია ვიღაცის ინტერესებზეა მორგებული, საინფორმაციო სააგენტოებიდან უფრო მეტ-ნაკლებად შევიტყობთ სიმართლეს, შედარებით ობიექტურნი დღეს ისინი არიან.



ძვირფასო მკითხველო, აგერ უკვე თითქმის ორი საუკუნეა, ქართული ჟურნალისტიკა ხალხის მხარდამხარ იღწვის, რათა საზოგადოება საინფორმაცი„ო ვაკუუმში არ იმყოფებოდეს და ჩვენი ცხოვრების მიმდინარე მოვლენებს ფეხდაფეხ მისდიოს, ეს ხომ ცივილიზებული სამყაროს ერთ-ერთი მთავარი პრინციპია, თუმცა, ვისურვებდი, ქართული ჟურნალისტიკა ისე განვითარდეს და წინ წავიდეს, რომ ტელეეკრანებიდან თუ საგაზეთო მასალებიდან მიწვდილი ინფორმაცია ყოველთვის დაბალანსებული და ობიექტური, ხოლო თითოეული ჟურნალისტი საზოგადოებისთვის მისაღები და მისაბაძი ყოფილიყოს.

**მასალა მოამზადა**
ელზა ხარაშვილმა

# უცნაური და დაუჯერებელი ამბები

რამდენიმე დღის წინ, სამსახურში მიმავალს, ტელეფონით შემატყობინეს, რომ ჩემი ახლობლები დიდ ხიფათს გადაურჩნენ - გამაცხელებიდან გაზმა გაჟონა და ისე ცუდად გავხდით, სასწრაფოდ გამოვიძახეთ და საავარიო სამსხურებიც გაზიფიკაციიდანო. ძალიან ავღელდი და შევწუხდი. ამ დროს გზაში, სრულიად შემთხვევით, ჩვენი ქალაქის მაცხოვრებლებისათვის ცნობადი პიროვნება და ღვაწლმოსილი პედაგოგი სვეტლანა შალვაშვილი შემომხვდა. მივესალმეთ, მოვიკითხეთ. მან შემატყო, რომ უხასიათოდ ვიყავ და მიზეზი მკითხა. მეც, ავუხსენი, რა დიდ უბედურებას გადავრჩი. მან კი ერთი უცნაური და თითქმის დაუჯერებელი ამბავი მომითხრო, გაოგნებული დავრჩი: ერთ ღამეს გაზით მძინარე მოვიწამლე და თითქმის გონდაკარგული ვიყავ, ზედ ყურის ძირში კატის გამწარებული და გაბმული კნავილი რომ ჩამესმა. ოდნავ გამოვფხიზლდი, მივხვდი, რომ, გაზის სუნი იდგა და ფანჯრის გასაღებად წამოვდექი, მაგრამ მაშინვე ისევ დავკარგე გონი და დავეცი. როცა გონს მოვედი, ვნახე, რომ კატას ფანჯრის მინა გაუტეხია თავით მიზის და მოთმინებით ელოდება, როდის გავახელ თვალს. დღესაც გაოცებული ვარ, განა რა სიძლიერით ეხეთქებოდა კატა მინას, რომ ის ჩამოიმტვრა?! მე და ჩემს კატას იმ დღემდეც ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ ახლა მე ის ჩემს მხსნელად მიმაჩნია. ხანდახან ადამიანებიც კი არ გიფასებენ ამაგს და კატამ თითქმის თავგანწირვით გამოხატა მადლიერება. სვეტას მონათხრობმა ძალიან გამაოცა.

ძაღლის ერთგულებაზე არაერთი ნაწარმოები შექმნილა, არაერთი ფილმი გადაღებულა, მაგრამ კატის ასეთი საქციელი პირველად გავიგე. ძვირფასო მეგობრებო, გიყვარდეთ და იზრუნეთ ცხოველებზე, რომლებიც თქვენს ეზო-ყურეს არ გასცილდნენ, არავის შეაწუხებდნენ და არავის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას არ შეუქმნიან საფრთხეს. ქალაქს ისედაც უამრავი მაწანწალა ძაღლი და კატა ჰყავს, რომლებიც ქალაქის ყველა უბანში დაწანწალებენ ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად და ფეხით მოსიარულთათვის საშიშროებას წარმოადგენენ.

ნაირა გორაშვილი

## ულოცავენ!

### ცისია შანშაშვილ-პაპუაშვილს!

ჩვენს უსაყვარლეს ქალბატონს, ჩინებული შვილის საჩინო დედას, შეუდარებელ ბებოს, უძვირფასეს მეგობარს, ქალთა ეტალონს, ვულოცავთ 29 მარტს საიუბილეო 70 წლისთავს. ასაკთან შედარებით მხნედ და ლამაზად გამოიყურები, ასეთი შეხვედროდი 100წლის იუბილეს.

უფალს დიდ მადლობას ვწირავთ, რომ ასეთი მდიდარი სულის ქალბატონთან ვმეგობრობთ წლების მანძილზე, რომელიც სიძნელეების დაძლევისა და მომავალი ცხოვრების სტიმულს გვაძლევს, ყოველთვის გვიგულე შენს გვერდით.

ღმერთი იყოს შენი მფარველი.

„ჩვენ შენი დიდი მეგობრობით ნაალერსალნი,
ამ ლექსს სრულიად სამეგობროს გულისთქმას ვატანთ,
სიცოცხლემ შენმა იკაშკაშოს მარად მზესავით,
და გამხნევებდეს ჩვენი ლოცვა, სითბო და მალა".

**დიდი სიყვარულითა და პატივისცემით,**
მარინე მოლაშვილი, მარიკა გონაშვილი, ქეთინო გარსევანიშვილი, ზიზი ყოჩიაშვილი, ნანა ზურაშვილი და სხვები.


## იყიდება!

იყიდება ერთოთახიანი ბინა ავტოფარეხით დედოფლისწყაროში (სოკარის მოპირდაპირე მხარეს) რუსთაველის ქუჩა N4, კორპუსი 31, ბინა17. შესაძლებელია გაცვლა კერძო საცხოვრებელ ბინაზე. ფასი შეთანხმებით.
☎ 591 80 35 13.

იყიდება 3 ოთახიანი კუთხის ბინა 75 კვ-მ დედოფლისწყაროში, მეგობრობის ქN1, 1-ლი სადარბაზო, ბინა 6, მე-3 სართული.
☎ 598-95-09-65 თამაზი,
599-27-74-88 ნასყიდა.

## განცხადება!

გთავაზობთ, ქ.დედოფლისწყაროს და სოფ. ხორნაბუჯში საფლავების მოვლა-პატრონობისა და დასუფთავების სამუშაოების შესრულებას უმაღლეს დონეზე, თქვენი სურვილისა და გემოვნების გათვალისწინებით. ანგარიშსწორება მოხდება შეთანხმების საფუძველზე, ლიბერთი ბანკის ანგარიშზე: GE25LB0112141572276000. მსურველები დაგვიკავშირდით
☎ 595-390-358.

ვყიდი სათესლე მზესუმზირას, ფასი შეთანხმებით. მსურველები დამიკავშირდით:
☎ 598-98-57-22

## სიახლე!

ქ. დედოფლისწყაროში, გელოვანის ქ.N44-ში გაიხსნა თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი 300-კაციანი საბანკეტო დარბაზი „ნიკა". მოსახლეობას საშუალება ექნება, გამართოს როგორც სადღესასწაულო, ასევე სამგლოვიარო ხასიათის ღონისძიებები. გვესაჭიროება ახალგაზრდა გოგონები და ბიჭები მიმტანის პოზიციაზე, ასევე გვაქვს ჭურჭლის მრეცხავის და მზარეულის ვაკანსია.
☎ 599 731595; 593 14 45 28, ანზორი.


## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 27.03 | | სამშაბათი 28.03 | | ოთხშაბათი 29.03 | | ხუთშაბათი 30.03 | | პარასკევი 31.03 | | შაბათი 01.04 | | კვირა 02.04 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 12 ° | 10 ° | 13 ° | 7 ° | 8 ° | 6 ° | 7 ° | 2 ° | 3 ° | 2 ° | 2 ° | 1 ° | 4 ° | 2 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს" სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.